

გუგაზ სანიჰიკა
ლავან სანიჰიკა

საქართველოს
ბიბლიოთეკა

K 56043
2

საქართველოს
საბავშვო
საბიბლიოთეკო
სისტემა

2



გუბაჯ სანოვიძე
ლევან სანოვიძე

უბის ისტორია

2

ქართული ქრონოგრაფია

(ენიუკნელოვან თარიღთა ნუსხა)

K56.043-5/2

გამომცემლობა „საქსოგლო“
თბილისი - 1992 წელი

77



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

63.3(26)

ს263

მხატვარი
სიმონ ჭითრელი

საქართველოს
პარლამენტის
ეკონომიკური
პროგრამები

© გამოცემა ელვა „საქართველო“, 1992.



ძვ. წ. XVII-XV სს. — დასავლეთ საქართველოს, ანუ კოლხეთის „პირველი აღზევა“; ლეკინდარული აიუტის მეფობა (პარალელურად დასავლეთით, წინაბერძნულ სამეაროში — „მინოსის ხანა“), ოქროს საწმისისა და „არგონავტიკის“ ხანა.

ძვ. წ. XIII-VIII სს. — მესხთა სახელმწიფო დიაუხი (შემდგომში — ტაო).

ძვ. წ. VIII-VI სს. — სახელმწიფო კოლხა — კოლხეთის „მეორე აღზევა“.

ძვ. წ. VII-VI სს. — სპერი, — სასპერთა, ანუ იბერთა სახელმწიფო.

ძვ. წ. VII ს. — ბერძნული კოლონიზაცია შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე; ქალაქების — სინოპის, ტრაპეზუნტის, კერასუნტის, ფასისის, დიოსკურიის დაარსება.

ძვ. წ. VI ს. — ქართლის, ანუ იბერიის სახელმწიფოს ჩამოყალიბება.

ძვ. წ. VI ს. — ეგრისის, ანუ კოლხეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბება — კოლხეთის „მესამე აღზევა“.

ძვ. წ. IV ს. შპ. 30-იანი წლები — პონტოდან, „საბერძნეთიდან“ ჯარით იჭრება „ბერძენი“ სარდალი, აზო, ჰელაუს მამასახლისი სამარას და თავს აცხადებს იბერია-ქართლის მეფედ.

ძვ. წ. IV ს. შპ. 10-იანი წლები — „უცხოელი აზონის“ ბატონობას ამხობს სამარა მამასახლისის აწ დაეპყრებულ დიმიწული, ფარნავაზი, და თვითონ ჯდება ფარნავაზი იბერია-ქართლის მეფედ. აქედანვე იწყება ქართველ „ფარნავაზიანთა დინასტიის“ ზეობის ხანა საქართველოს ისტორიაში.

ძვ. წ. IV-III ს. შპ. შენობა მიჯნა — მეფობა ფარნავაზისა. საქართველოს პირველი გაერთიანება. აღმინისტრაციული რეფორმა — ქვეყნის დაყოფა საერისთავოებად. კულტურული რეფორმა — „მწიგნობრობა ქართული“.

ძვ. წ. III ს. შპ. შუა წლები — მეფობა ხაურმაგ I-ისა.



ძპ. წ. III სსშპ. ბოლო წლები - მეფობა მირიან I-ისა.

ძპ. წ. III სსშპ. ბოლო - ღურძუკთა და ჭრთალელთა შემდგომ კახეთს, და მათი განადგურება მირიან I-ის წინამძღოლობით.

ძპ. წ. II სსშპ. I ნახ. - მეფობა ფარნაჯომისა.

ძპ. წ. II სსშპ. მეორე ნახ. - მეფობა არსოკ I-ისა.

ძპ. წ. I სსშპ. პირველი ნახ. - მეფობა არტაგისა.

ძპ. წ. I სსშპ. 90-ანი წლები - კოლხეთს იპყრობს პონტოს მეფე მითრიდატე VI ეკატორი.

ძპ. წ. 66 წ. - რომაელები, გნუს პომპეუსის სარდლობით, ანადგურებენ პონტოს და სომხეთს.

ძპ. წ. 65 წ. - პომპეუსი რომაული ლეგიონებით იჭრება ქართლში, იპყრობს არმაზციხეს და იწვევს მტკვრის გადალახვას მცხეთაში შესაჭრელად. იბერიის მეფე არტაგმა ჯერ დიპლომატიური ხერხებით სცადა დიდი დასავლეთელი მტრების შეკავება, მერე იარაღსაც მიმართა, მაგრამ მძიმე ბრძოლები მარცხით გაუთავდა და ბოლოს, პომპეუსს მდიდარი ძღვენი (ოქროს ტახტი, ოქროს სარეცელი, ოქროს შაგიდა) და მძევლებად თავისი ვაჟები მისცა. სამაგიეროდ პომპეუსმა იბერია-ქართლი „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოაცხადა. ამის შემდეგ, იმავე წელს, პომპეუსი იპყრობს კოლხეთს.

ძპ. წ. I სსშპ. შუა წლები - მეფობა ფარნავაზ II-ისა.

ძპ. წ. I სსშპ. მეორე ნახ. - მეფობა მირიან II-ისა.

ძპ. წ. I სსშპ. ბოლო - მეფობა არსოკ II-ისა.

ახ. წ. I სსშპ. პირველი ნახ. - მეფობა მირდატ I-ისა (ადერკი).

33 წ. - ქრისტეს კვართის ჩამოსვენება მცხეთას, ელიოზ მცხეთელისა და ღონგინოზ კარსნელის მიერ.

I სსშპ. 30-70-იანი წლები - მეფობა ფარსმან I-ისა.

35 წ. - ფარსმან I-მა სომხეთის ტახტზე დასვა თავისი ძმა მირდატი.



36 წ. - ფარსმან I-მა სომხეთს გაგზავნა თავისი ძე, რადამისტი, რომელმაც მირდატი ჩამოაგდო და თვითონ დაიჭირა სომხეთის ტახტი.

38 წ. სომხეთში, რომაელების წაქეზებით, აჯანყება მოხდა. აჯანყებულებმა რადამისტ ქართველის მეფობა დაამხეს.

I სპშპ. 70-80-იანი წლები - მეფობა მირდატ II-ისა ქართლში.

75 წ. - რომის იმპერატორმა ვესპასიანემ და მისმა შვილებმა, ტიტუსმა და დომიციანემ, მეფე მირდატ II-ს მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრეს.

II სპშპ. პირველი ნახევარი - მეფობა ფარსმან II ქველისა, ქართლში.

114 წ. - ქართული ჯარი მონაწილეობს რომის იმპერატორ ტრაიანეს აღმოსავლურ ლაშქრობაში, პართიის წინააღმდეგ. ქართველები თავისი სიმამაცით განაცვიფრებენ რომაელებსაც და პართიელებსაც.

140 წ. (დაახლ.) - რომის იმპერატორის, ანტონინუს პიუსის მიწვევით, რომს ეწვია ქართლის მეფე ფარსმან II ქველი, ოჯახით და ამალით. რომი იხიბლება ქართველი მეფისა და მისი მხლებლების ცხენოსნური ჯირითით. იმპერატორის ბრძანებით, მარსის ველზე აღიმართება მოჯირითე ქართველი ხელმწიფის ქანდაკება.

II სპშპ. შუა წლები - მეფობა ბაკურისა ეგრის-ლაზეთში.

II სპშპ. შუა წლები - მეფობა მირდატ III-სა ქართლში.

II სპშპ. ბოლო წლები - მეფობა ქსეფარნუგისა ქართლში.

III სპშპ. დასაწყისი - მეფობა ადამისა (დადამ) ქართლში.

III სპშპ. პირველი ნახ. - მეფობა ფარსმან III-ისა ქართლში.

III სპშპ. შუა წლები - მეფობა ამაზასპისა ქართლში.

III სპშპ. 70-ანი წლები - მეფობა რეე I მართლისა ქართლში.

III სპშპ. 80-ანი წლები - მეფობა ვახუხი ქართლში.

III სპშპ. 90-ანი წლები - მეფობა ბაკურ I-ისა ქართლში.



III სტშპ. ბოლო წლები - მეფობა მირდატ IV-ისა ქართლში.

III-IV სს. მიჯნაზე - მეფობა ასფარუგისა ქართლში.

IV სტშპ. დამდეგი - მეფობა რეკ II-ისა ქართლში.

IV სტშპ. - ფასისის (ფათის) „მუხათა ტაძარი“ - უმაღლესი სკოლა, სადაც უმაღლესი განათლება მოუღიათ განთქმულ ბიზანტიელ ფილოსოფოსებს, მამა-შვილს, ევგენიოსს და თემისტოისს.

IV სტშპ. პირველი ნახევარი - მეფობა მირიან III-ისა ქართლში.

325-335 წწ. - წმიდა ნინო განმანათლებლის მოხვლა, ქართლის მონათვლა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. „პირველი სეკტიცხოვლის“ აგება.

335-363 წწ. - პირველი ძველქართვარი, მთავარეპისკოპოსი იოანე I.

IV სტშპ. შუა წლები - მეფობა ბაქარისა ქართლში.

IV საუკ. 60-ანი წლები - მეფობა მირდატ V-ისა ქართლში.

363-375 წწ. - მთავარეპისკოპოსი იაკობი.

IV სტშპ. 70-ანი წლები - ორმეფობა ქართლში: საურმაგ II-ისა მტკვრის მარჯვნივ და ვარაზ-ბაკურიისა მტკვრის მარცხნივ.

375-390 წწ. - მთავარეპისკოპოსი იობი.

390-400 წწ. - მთავარეპისკოპოსი ელია.

400-410 წწ. - მთავარეპისკოპოსი სვიმეონ I.

400-412 წწ. - მეფობა ფარსმან IV-ისა ქართლში.

410-425 წწ. - მთავარეპისკოპოსი მოსე.

412-430 წწ. - მეფობა ბუზმარისა ქართლში.

425-429 წწ. მთავარეპისკოპოსი იონა.

429-433 წწ. - მთავარეპისკოპოსი იერემია.

430-? წწ. - მეფობა არჩილ I-ისა ქართლში.

434 წ. - მთავარეპისკოპოსი გრიგოლ I.

434-436 წწ. - მთავარეპისკოპოსი ბახილი I.

436-448 წწ. - მთავარეპისკოპოსი მოდიდან.



V ხაშკ. 30-40-ანი წლები - მეფობა მირდატ VI-ისა ქართლში.

448-452 წწ. - მთავარეპისკოპოსი იოველ I.

452-467 წწ. - მთავარეპისკოპოსი მიქელ I.

455-510 წწ. - მეფობა გუბაზ I-ისა ეგრის-ლაზეთში.

456 წ. - ბიზანტიელთა შემოსევა ეგრის-ლაზეთში. ეგრისელები (ლაზები) „უცხო ხერხებით“ (ჯეჯილით შენიღბული და შუბებით მოსარული ორძოებით) ანადგურებენ მტრად მოსულ ბიზანტიელებს.

457-502 წწ. - მეფობა დიდი ვახტანგ გორგასალისა.

458-461 წწ. - „ჩრდილოური ლაშქრობანი“ ვახტანგ გორგასალისა.

464 წ. - ქართველები, ვახტანგ გორგასალის წინამძღოლობით, ლაშქრობენ სამხრეთ-დასავლეთით და იერთებენ ისტორიულ ქართულ-პონტოურ მიწებს. ბიზანტიის იმპერატორი ლეონ I იძულებული ხდება ცნოს ქართველთა მეფობებლობა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიებზე.

467 წ. - ქართველები, ვახტანგ გორგასალის წინამძღოლობით, ამარცხებენ ქართლზე მოლაშქრე სპარსეთის მეფე პეროზს და მის მხედრობას.

467-474 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი პეტრე I.

470-480 წწ. - სვეტიცხოვლის „მეორე აღმშენებლობა“.

474-502 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ I.

502-510 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გაბრიელ I.

502 წ. - სპარსეთის შაჰის, კავადის შემოსევა საქართველოში ურიცხვი მხედრობით. ბრძოლა იორის სანაპიროებზე. ვახტანგ გორგასალის დაღუპვა შინაგამცემის ხელით.

502-515 წწ. - მეფობა დანის, ანუ დარჩილისა ქართლში.

510-516 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი თავუფჩაღ I.

510-530 წწ. - მეფობა წათე I-ისა ეგრის-ლაზეთში.

515 წ. - მეფობა ბაკურ II-ისა ქართლში.



515-523 **წწ.** — მეფობა გურგენისა ქართლში.

516-523 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ჩიხორისა

(ჩიღირმანე).

523 **წ.** — სპარსეთის წინააღმდეგ ქართლის აჯანყება, გურგენ მეფის მეთაურობით. აჯანყების ჩახშობა. გურგენ მეფის გადასვლა ეგრისს, ეგრისიდან — კონსტანტინოპოლს.

523-535 **წწ.** — მეფობა ძამანარსესი ქართლში.

523-552 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი საბა I (პირველი ქართველი კათოლიკოსი).

528 **წ.** — ომის დასაწყისი სპარსეთსა და ბიზანტიას შორის, ეგრის-ლაზეთის დაუფლებისათვის. კავად შაჰის შემოსევა ეგრისში, დიდძალი სპარსული მხედრობით. ბიზანტიელები ეგრისის მიშველებას არ ჩქარობენ. მეფე წათე I თავისი ღაზებით მარტოდმარტო ებრძვის სპარსელებს. 530 წლისათვის წათე აღარ იხსენიება. შესაძლოა იგი დაიღუპა მტერთან უთანასწორო ბრძოლაში.

530-554 **წწ.** — მეფობა გუბაზ II-ისა ეგრის-ლაზეთში.

532 **წ.** — „მარადიული ზავი“ ბიზანტიასა და სპარსეთს შორის. ეგრისიდან სპარსელები გადიან და ბიზანტიელები შემოდიან.

533-544 **წ.** კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ველავი.

535 **წ.** — სპარსელები ქართლში მეფობას აუქმებენ და მის ნაცვლად სპარსულ „მარზპანობას“ ადგენენ.

544-553 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ II.

550 **წ.** — სპარსელთა შემოსევა ეგრის-ლაზეთში, ხორიანეს ხარდლობით. გუბაზ მეფე ამარცხებს სპარსელებს. ხორიანეც ბრძოლაში იღუპება.

551 **წ.** — ბრძოლა პეტრას ციხესთან. ღაზები და ბიზანტიელები ამარცხებენ სპარსელებს.

552 **წ.** — სპარსელთა შემოსევა ეგრის-ლაზეთში, მერმეოროეს ხარდლობით. ბრძოლა ციხე-გოჯთან. ღაზები ამარცხებენ სპარსელებს.



553-569 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი მაკარი

554 **წ.** - ბიზანტიელი სარდლები, ხობისწყლის პირას, დალატით კლავენ მეფე გუბაზ II-ს.

554-...? **წწ.** - მეუობა წათე II-ისა ეგრის-ლაზეთში.

555 **წ.** - სპარსელთა მორიგი შემოსევა ეგრის-ლაზეთში, ნახორაგანის სარდლობით. ბრძოლა ფახის-ფოთთან. ქართველები და ბიზანტიელები ანადგურებენ სპარსელებს.

555 **წ.** - მისიმიელთა აჯანყება. ბიზანტიელთა ამოწყვეტა.

556 **წ.** - მისიმიელთა მარცხი და მათი ამოწყვეტა ბიზანტიელთაგან.

VI სსშპ. შუა წლები - „ცამეტი მაძის“ - იოვანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონ მარტყოფელი, ისე წილკნელი, თათე სტეფანწმიდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი - მოხვლა და მოღვაწეობა საქართველოში.

569-575 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სვიმონ II.

575-582 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ III.

582-591 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ IV.

591-595 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ბართლომე.

VI სსშპ. ბოლო წლები - გუარამ ბაგრატიონის ერისმთავრობა ქართლში. გუარამი იწყებს მცხეთის ჯვარის მონასტრის მშენებლობას.


595-610 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი კირიონ I.

VII სსშპ. პირველი მეოთხედი - სტეფანოზ I-ის ერისმთავრობა ქართლში.

610-619 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი იონა II.

619-629 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ბაბილა.

626 **წ.** - ერთდროული შემოსევა ბიზანტიელებისა და ხაზარებისა ტფილისზე. ბიზანტიელებს ჰერაკლე კეისარი მოუძღვის, ხაზარებს -



ჯიბლუ ხაკანი. სასტიკ ბრძოლაში გმირის სიკვდილით ერისმთავარი სტეფანოზ I. იმ წელს ტფილისი გადარჩა. კერძო კეისარი თავისი ჯარებით უკანვე გაბრუნდა.

- 627 წ. - ხაზარები იღებენ და აოხრებენ ტფილისს.
- 627-...? წწ. - ადარნასეს ერისმთავრობა ქართლში.
- 629-634 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი თაბორი.
- 634-640 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ V.
- 640-649 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ევსონი.

VII საშპ. 40-50-ანი წლები - სტეფანოზ II-ის ერისმთავრობა ქართლში.

642 წ. - არაბების პირველი მოხვლა საქართველოში. ქართველთა გამარჯვება და არაბთა უკუქცევა.

649-664 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი თავუფჩად II.

654 წ. - არაბთა მეორე შემოსევა, ჰაბიბ იბნ-მასლამას ხარდლობით. ერისმთავარი სტეფანოზ II მტერს მშვიდობიან შერიგებას სთავაზობს. შერიგება და დაზავება დგინდება კიდევც: მასლამა სტეფანოზს აძლევს „დაცვის სიგელს“, სტეფანოზი კისრულობს ხარკის (ჯიზიათი) გადახდას (წელიწადში, კომლზე, 1 დინარი).

- 664-668 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ევლაღე.
- 668-670 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი იოველ VI.
- 670-677 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ VI.
- 677-678 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გიორგი I.
- 678-683 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი კირიონ II.
- 683-685 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი იზიდ-ბოზიდი.

VII საშპ. 80-90-იანი წლები - ნერსე I-ის ერისმთავრობა ქართლში.

685-689 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი თეოდორე I (თეოდოსი).

686 წ. - ქართველები, ნერსე I-ის წინამძღოლობით, ეხმარებიან



არაბების წინააღმდეგ აჯანყებულ სომხებს. ვინთან გამართულ ბრძოლაში ქართველები სასტიკად ამარცხებენ არაბთა სარდალ ბარაბას.

689-720 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი — პეტრე (ხვიმონ) II.

VI სპპ. 90-ანი წლები — ხერგი ბარნუკისძის „ერისმთავრობა“ („მეფობა“?) ეგრის-ლაზეთში.

720-731 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი თალაღუ.

VIII სპპ. 30-40-ანი წლები — სტეფანოზ III-ის ერისმთავრობა ქართლში.

731-744 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი შამაი.

735-737 წწ. — არაბთა მახარი შემოსევა საქართველოში, მურვან გრუს მეთაურობით. დავით და კონსტანტინეს გმირობანი და მოწამებრივი აღსასრული.

737 წ. — ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში ქართველები, ძმების — მირისა და არჩილის წინამძღოლობით, ამარცხებენ არაბებს.

738-760 წწ. — არჩილის ერისმთავრობა ქართლში.

744-760 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი იოანე III.

755-800 წწ. — მეფობა ლეონ II-ისა დასავლეთ საქართველოში („აფხაზეთში“).

760 წ. — არჩილის მოწამებრივი აღსასრული არაბთაგან.

VIII სპპ. 60-ანი წლები — ჯუანშერის ერისმთავრობა ქართლში.

760-767 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გრიგოლ II.

764 წ. — ხაზართა შემოსევა, ბლუჩანის სარდლობით. ქართლ-კახეთის აკლესია-აოხრება. ერისმთავარ ჯუანშერისა და მისი დის, მშვენიერი შუშანის ტყვედ წაყვანა. შუშანის თვითმკვლელობა.

767-774 წწ. — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სარმეანე.

VIII სპპ. 70-ანი წლები — ნერსე II-ის ერისმთავრობა ქართლში.



774-780 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი მიქელ II.
 776-786 **წწ.** — სტეფანოს IV-ის ერისმთავრობა ქართველთა.
 780-790 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ VII.

785 **წლის 8 თებერვალი** — წამება ახო ტფილელისა.
 791-802 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი კირილე.
 800-825 **წწ.** — მეფობა თეოდოსი I-სა „აფხაზეთში“.

802-814 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გრიგოლ III.
 810 **წ.** — ქართველებმა, აშოტ ბაგრატიონის მეთაურობით, ტფილისიდან განდევნეს არაბები.

813 **წ.** — არაბებმა ისევ დაიპყრეს ტფილისი.
 813-826 **წწ.** — მეფობა აშოტ I დიდისა ტაო-კლარჯეთში (პირველი ბაგრატიონი, „მეფობის“ ტიტულით).

813 **წ.** — კავშირი-ხელშეკრულება აშოტ I-სა და ბიზანტიის კეისარ ლეონ V-ს შორის. ამ ხელშეკრულების ძალით, სამხრეთ ქართული მიწები ბიზანტიის ბატონობისგან თავისუფლდება და ქართველი მეფის მფლობელობის სამანებში ექცევა.

814-826 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სამოელ VIII.

818 **წ.** — ტაო-კლარჯეთის მეფე აშოტ I და დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთი“) მეფე თეოდოსი I, ახლად შეკავშირებულნი, ამარცხებენ გრიგოლ კახთა ერისთავს და მის მოკავშირე ტფილისის არაბ ამირას. ამ გამარჯვებით აშოტი იჭერს ქსნის ხეობას და ხდება უკვე მთელი ქართლის მფლობელი (ტფილისის გამოკლებით).

825-861 **წწ.** — დემეტრე II-ის მეფობა „აფხაზეთში“.

826 **წ.** — არაბთა შემოსევა და აშოტ I-ის მოკვლა მოღალატეთა ხელით (29 იანვარი).

826-876 **წწ.** — მეფობა ბაგრატ I კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.

826-838 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გიორგი II.

838-860 **წწ.** — კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი გაბრიელ II.



- 853 წ. - არაბთა შექმნილი, ბუღა თურქის ხარდლობით. ტფილისის
დაცემა და დაქვევება, 50000 ტფილისელის ამოწყვეტა.
- 860-887 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი არხენ I.
- 861-868 წწ. - მეფობა გიორგი I-სა „აფხაზეთში“.
- 868-880 წწ. - მეფობა იოვანე შავლიანისა „აფხაზეთში“.
- 876-881 წწ. - მეფობა დავით I კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.
- 880-887 წწ. - მეფობა ადარნასე შავლიანისა „აფხაზეთში“.
- 881-891 წწ. - მეფობა გურგენ I კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.
- 887-893 წწ. - მეფობა ბაგრატ I-ისა „აფხაზეთში“.
- 887-908 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ევხუქი.
- 888-923 წწ. - მეფობა ადარნასე II კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.
- 893-922 წწ. - მეფობა კონსტანტინესი „აფხაზეთში“.
- 908-914 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი კლიმენტოს.
- 914 წ. - არაბთა უკანასკნელი ღაშქრობა საქართველოში, აბულ ყასიმის ხარდლობით. მიქაელ-გობრონის გმირობა და მისი მოწამებრივი აღსასრული (17 იანვარი).
- 914-930 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ბასილი II.
- 922-957 წწ. მეფობა გიორგი II-ისა „აფხაზეთში“.
- 923-937 წწ. - მეფობა დავით II-ისა ტაო-კლარჯეთში.
- 930-944 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი მიქელ III.
- 937-994 წწ. - მეფობა ბაგრატ II „რეგენისა“ ტაო-კლარჯეთში.
- 944-955 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი დავით I.
- 955-980 წწ. - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი არხენ II.
- 957-967 წწ. - მეფობა დემეტრე III-ისა „აფხაზეთში“.
- 958-961 წწ. - მეფობა ადარნასე III კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.
- 961-1001 წწ. - მეფობა დავით III დიდი კურაპალატისა ტაო-კლარჯეთში.



967-975 **წწ.** - მეფობა დემეტრე III-ისა „აფხაზეთში“.

975-978 **წწ.** - მეფობა თეოდოსი II-ისა „აფხაზეთში“.

975 **წ.** - დავით III კურაპალატი, იოანე მარუშიძის ხელშეწყობით, ქართლის ტახტზე დასვა თავისი შვილობილი, ბაგრატიონებისა და დასავლეთ საქართველოს მეფეთა სისხლხორცი, ბაგრატ III.

978 **წ.** - დავით III კურაპალატი ბაგრატ III-ს სამეფოდ აბარებს მთელ დასავლეთ საქართველოს(აც).

979 **წ.** - ქართველები, ბიზანტიის სასახლის კარის თხოვნით, თორნიკე ერისთავის სარდლობით, ანადგურებენ კონსტანტინოპოლის დასაპყრობად ამხედრებულ ბარდა სკლიაროსს.

980 **წ.** - დავით III კურაპალატი ეუფლება მანაზკერტს (ვანის ტბასთან), განდევნის არაბებს და მათ ნაცვლად ჩაახაჩლებს ქართველებს და სომხებს.

980-1001 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი ოქროპირ (იოანე).

994-1008 **წწ.** - მეფობა გურგენ II-ისა კლარჯეთში.

997 **წ.** - დავით III, ისევ ვანის ტბის პირას, ეუფლება ქალაქ ხლათს.

998 **წ.** - ქართველები, გაბრიელ ოჩოპინტრესძის სარდლობით, ანადგურებენ არაბთა 100000-ან არმიას, რომელსაც მეთაურობდა მამლანი.

1001-1014 **წწ.** - ბაგრატ III - მეფე ერთიანი საქართველოსი.

1001-1012 **წწ.** - კათოლიკოს-მთავარეპისკოპოსი სვიმონ III.

1003 **წ.** - ბაგრატ III ამთავრებს ქუთათისის („ბაგრატის“) ტაძრის მშენებლობას.

1010-1029 **წწ.** - სვეტიცხოვლის „მესამე აღმშენებლობა“. ხუროთმოძღვარი არსუკისძე.

1010 **წ.** - ბაგრატ III საქართველოს უერთებს კახეთ-ჰერეთს.



1011 წ. – ბაგრატ III ლაშქრობს და მოხარკედ იხდის საამიროს.

1012-1030, 1039-1045 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I.

1014-1027 წწ. – მეფობა გიორგი I-ისა.

1014 წ. – განდგომა კახეთ-ჰერეთისა.

1014-1016 წწ. – ბრძოლები ბიზანტიასთან. გიორგი I იბრუნებს ტაო-ბასიანის მხარეს.

1021 წ. – ბრძოლა სოფელ შირიმთასთან. ბიზანტიელები აპარცხებენ ქართველებს.

1022 წ. – ქართველები ისევ მარცხდებიან ბიზანტიელებისაგან, ამჯერად რუსების დახმარებით (აქ პირველად ხვდებიან ერთმანეთს ქართველები და რუსები).

1022 წ. – ზავი ბიზანტიასა და საქართველოს შორის. ტაო ისევ ბიზანტიას უბრუნდება. ბიზანტიაში მძევლად მიჰყავთ გიორგი მეფის ოთხი წლის ძე, უფლისწული ბაგრატე.

1025 წ. – ბაგრატ უფლისწულის დაბრუნება მძევლობიდან.

1027 წ. – სიკვდილი გიორგი I-ისა.

1027-1072 წწ. – მეფობა ბაგრატ IV-ისა.

1030 წ. – მარიამ დედოფლის (ბაგრატის დედა) წვევა კონსტანტინოპოლს. მშვიდობიანობის აღდგენა საქართველოსა და ბიზანტიას შორის. მარიამს ბაგრატისთვის ცოლად მოჰყავს ელენე, კეისარ რომანოზ III-ის ასული.

1030 წ. – სიკვდილი ახლადმოყვანილი ელენე დედოფლისა.

1031 წ. – ბაგრატ IV ცოლად ირთავს ბორენას, ოვსთა მეფის ასულს.

1031-1039, 1045-1049 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი ოქროპირ (იოანე) II.

1032 წ. – ბაგრატ IV-მ, ეკლესიას გამართულ ბრძოლაში,



სახტიკად დაამარცხა და კვლავ ხარკის ქვეშ მოაქცია განძის ფადლონი.

1037-1038 წწ. - ბაგრატ IV ცდილობს ტფილისის გათავისუფლებას, მაგრამ ხელს უშლის საფრთხე თურქ-სელჩუკთა შემოსევისა.

1044 წ. - ბაგრატ IV ცდილობს კახეთის შემოერთებას, მაგრამ ხელს უშლის ზურგიდან აჯანყება კლდეკარის ერისთავის, ლიპარიტ ბაღვაშისა.

1045 წ. - ბაგრატ IV-მ, ატყენთან მომხდარ ბრძოლაში, დაამარცხა ტახტის მოცილე ნახეკარძმა, დემეტრე (დემეტრე გიორგი I-ს ჰყავდა „მეორე ცოლის“, ოსის ქალის, აღდგესაგან).

1045 წ. - ბაგრატ IV-მ, სომეხთა თხოვნით, დაიჭირა ქალაქი ანისი.

1045 წ. ბაგრატ IV-მ დაიჭირა ტფილისი, მაგრამ კვლავ ფეოდალთა რღვაობის წყალობით, იმავე წელს ტფილისიც დაჰკარგა და ანისიც.

1047 წ. - სასირეთის ჭალაზე გამართულ ბრძოლაში მეფე ბაგრატ IV დაამარცხა კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტ ბაღვაშმა.

1047 წ. - არყის ციხესთან მომხდარ შეტაკებაში ლიპარიტ ბაღვაში იხევ ამარცხებს ბაგრატ IV-ს.

1049-1055 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ექვთიმე I.

1054-1057 წწ. - მეფე ბაგრატ IV სტუმრად კონსტანტინოპოლს, კეისარ კონსტანტინე მონომახოსთან. კეისრის შუამდგომლობით - შერიგება ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტ ბაღვაშისა: ლიპარიტი აღიარებს ბაგრატის უზენაესობას, სამაგიეროდ მეფისგან იმტკიცებს მესხეთისა და ქართლის ერისთავთერისთავობას.

1055-1065 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი III ტაოელი.

1060 წ. ბაგრატ IV იურთებს კახეთ-ჰერეთს.

1060-1065 წწ. - ათონის „ივერონიდან“ გიორგი მთაწმიდელის წვევა საქართველოში.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

1065 წ. - ბაგრატ IV-ის ასულის, მართას დაწინდვა ბიზანტიის იმპერატორის უფლისწულზე.

1065-1080 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი გაბრიელ III საფარელი.

1065 წ. - თურქ-ხელჩუკთა პირველი შემოსევა საქართველოში, სულტან ალფ-არსლანის მეთაურობით.

1068 წ. - ალფ-არსლანის მეორე შემოსევა საქართველოში.

1069 წ. - ბაგრატ IV ანადგურებს საქართველოს საზღვრებში შემოჭრილ განძელ ამირა ფადლონს.

1069 წ. - ბაგრატ IV მეორედ ეუფლება ტფილისს, მაგრამ შიგ მმართველად მაინც არაბ ამირას აყენებს, წელიწადში 44000 დრაკანის სახარკო გადასახადით.

1070 წ. - ბაგრატ IV-მ, უფლისწული გიორგის მეთაურობით, ჯარი შეუსია განძას და საქართველოს მუდმივი მომტკრე ფადლონ ამირა ერთხელ კიდევ გაანადგურა.

1071 წ. - ბაგრატ IV-ის ასული, მართა (მარიამი), შეიქნა ბიზანტიის დედოფალი - მეუღლე კეისარ მიხეილ VII დუკა პარაპინაკისა.

1072 წ. - სიკვდილი ბაგრატ IV-ისა.

1072-1089 წ. - მეფობა გიორგი II-ისა

1073 წ. - გიორგი II-ს შეეძინა ყრმა, დავითი - მომავალი დიდი სამციფე - „აღმაშენებელი“.

1073 წ. - გიორგი II-ს უჯანყებიან ფეოდალები - ნიანია უფლისძე, ივანე ბაღვაში და ვარდან ხვანთა ერისთავი. მეფე სამციფეს დაამარცხებს და სახჯელის მაგივრად, სამციფეს შეიწყალებს დაასახელებს.

1074 წ. - ბიზანტიის ქართველმა ხარდალმა (დომესტიკოსი),

1065

საქართველოს
პარლამენტი
მეცნიერული
ცენტრი



გრიგოლ ბაკურიანისძემ გიორგი II-ს დაუმტკიცა ქალაქი კარჩხანული
1079-1080 წწ. - დახაწვისი თურქ-ხელჩუკთა განუწვეველი
 ლაშქრობებისა საქართველოში („დიდი თურქობა“).

1080-1090 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დიმიტრი.

1085 წ. - გიორგი II ზავს ღებს სულტან მალიქ-შაჰთან; კისრულობს ხარკის (ხარაჯის) გადახდას, მაგრამ თურქთა შემოსევები საქართველოს „მოსაჭმელად“ მაინც არ წყდება.

1088 წ. - დიდი, დამანგრეველი მიწისძვრები საქართველოში.

1089 წ. - გიორგი II სამეფო ინსიგნიებს გადასცემს თავის ძეს, 16 წლის დავითს.

1089-1125 წწ. - მეფობა დავით IV აღმაშენებლისა.

1090-1100 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ბასილი III კარიჭისძე.

1099 წ. - დავით აღმაშენებელი ხარაჯის გადახდას უწვევს თურქთა ხელტანს.

1100-1142 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი იოანე IV საფარული.

1101 წ. - დავით აღმაშენებელი იჭერს ზედაზნის ციხეს.

1103 წ. - დავით აღმაშენებელი იწვევს საეკლესიო კრებას რუის-ურბნისში; თანამდებობებს ართმევს უღირს სამღვდელოებს და ამიერიდან დაწინაურება-ამაღლებას ახდენს არა წოდებრიობა-გვარიშვილობის, არამედ მხოლოდ პირადი ღირსებების, ნიჭიერებისა და ზნობრიობის მიხედვლით.

1103-1104 წ. - დავით აღმაშენებელი ქმნის „სავაზიროს“, მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის თავმჯდომარეობით.

1104 წ. - ერწუხთან გამართულ ბრძოლაში, დავით აღმაშენებელმა, თვითონ ბრძოლის მთავარმა გმირმა, სასტიკად გაანადგურა თურქები.

1106-1125 წწ. - დავით აღმაშენებელი აშენებს ჯვლათს სამონასტრო კომპლექსით და აკადემიით („სხვადა ათინად“ და „სხვადა იერუსალემად“).



1110 წ. — ქართველები თურქებს ართმევენ სამშვილდისა და მერნას ციხეებს.

1110 წ. — თრიალეთში დავით აღმაშენებელი ანადგურებს თურქთა დიდ მხედრობას.

1115 წ. — დავით აღმაშენებელი თურქებს ერეკება რუსთავიდან.

1116 წ. — დავით აღმაშენებელი შეიწყნარებს შირვანის შაჰის, მანუჩქორ II-ის თხოვნას და ცოლად მისცემს თავის უფროს ასულს, თამარს.

1116 წ. — დავით აღმაშენებელი ანადგურებს ტაოში მდგარ თურქთა დიდ ბანაკს.

1117 წ. — დავით აღმაშენებელი ეუფლება შირვანის ციხე-ქალაქებს — გიშსა და ქალაძორს.

1117 წ. — დავით აღმაშენებელი შირვანს საღაშქროდ აგზავნის დემეტრე უფლისწულს, რომელიც ეუფლება ქალაძორს და დიდი ნადავლითა და სახელით ბრუნდება უკან.

1118 წ. — დავით აღმაშენებელი ანადგურებს თურქთა მხედრობას მდინარე რახსის (არაქსის) პირას.

1118 წ. — დავით აღმაშენებელი თავის უმცროს ასულს, კატაის, ცოლად აძლევს ბიზანტიის კეისრის, ალექსი კომნენოსის ძეს, უფლისწულ ისააკს.

1118 წ. — დავით აღმაშენებელი ეუფლება ლორუს და აგარანს.

1118 წ. — სიკვდილი გიორგი ჭყონდიდელისა.

1118-1119 წწ. — დავით აღმაშენებელი ატარებს სამხედრო რეფორმას: 40000 ყივჩაყი მუდმივ მყოფრად, 5000 მონა-სპა (გვარდია) და ქართველთა ლაშქარი „ქუდზე კაცის“ დამახილით.

1118 წ. — დავით აღმაშენებელი იმორჩილებს ოსეთს.



1119 წ. — საიდუმლო შეჩვედრა გეგუთის სასახლეში აღმაშენებელსა და ჯვაროსანთა მეფე ბაღდადის II-ს შორის.

1120 წ. — დავით აღმაშენებელი ანადგურებს ბორტიასთან დაბანაკებულ თურქობას.

1120 წ. — დავით აღმაშენებელი შირვანში ეუფლება: ყაბალას, ლიქათს და ქურდევანს.

1120 წ. — დავით აღმაშენებელი სამხრეთით, აშორნიას და ხეველძეჯს, ამარცხებს და ანადგურებს თურქებს.

1120 წ. — დავით აღმაშენებელი ლაშქრობს სომხეთში, სპარსეთში და სირიაში.

1121 წ. — დავით აღმაშენებელი სამცხის ანადგურებს თურქ-სელჩუკებს — ხუნანს, ბარდავს და განძას.

1121 წლის 12 აპრილი — დავით აღმაშენებელი იხდის ყველაზე დიდ ბრძოლას — დიდგორს. აქ იგი 56000 მკომრით ანადგურებს შაჰმადიანთა კოალიციურ 400000-ან ურდოს.

1122 წ. — დავით აღმაშენებელი ათავისუფლებს ტფილისს და აქვე გადმოაქვს სატახტო რეზიდენცია ქუთათისიდან.

1123 წ. — დავით აღმაშენებელი ეუფლება დმანისს.

1123 წ. — დავით აღმაშენებელი შირვანში ეუფლება: გულისტანს, შაბურანს, ღასანს, ხოზაონტლს და დარუბანდს.

1123 წ. — დავით აღმაშენებელმა სომხეთში დაიჭირა: გაგნი, ტერონაკლი, ქავაზინსი, ნორბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი.

1123 წ. — დავით აღმაშენებელი თურქებს ანადგურებს ხუთგზის: ჯავახეთს, კოლას, კარნიფორას, ბასიანსა და სპერს.

1123 წ. — დავით აღმაშენებელი ეუფლება: ანისს, ვანანდს, არარატს, ხაბანდას და არცახს.

1124 წ. — დავით აღმაშენებელი ხელახლა ეუფლება შირვანის მთავარ ციხე-ქალაქებს — შემახიას, ბირიტს, დარუბანდს.

1125 წლის 24 თებერვალი — გარდაცვალება დავით აღმაშენებლისა.



1125-1156 **წწ.** - მეფობა დემეტრე I-ისა.

1125 **წ.** - დემეტრე I დიანისიდან და ხუნანისიდან აძეგნა შემოჭრილ თურქებს.

1138 **წ.** - დემეტრე I ლაშქრობს განძას, ვუფლება, ქალაქს ხსნის მთავარ ალაფაფის კარებს, ჩამოაქვს და სწირავს გელათს (დღემდე ინახება იქვე).

1142-1146 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი სვიმეონ IV გულაბერიძე.

1146-1150 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი საბა II.

1150-1178 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ I გულაბერიძე.

1153 **წ.** - დემეტრე I, ქალაქ ანისში, ანადგურებს ამირა ხალდუხს.

1155 **წ.** დემეტრე I-ს სამეფო ტახტსა და გვირგვინს ართმევს უფროსი ძე, დავითი. დემეტრე ბერად აღიკვეცება დავითგარეჯაში.

1155 **წ.** - ექვსთვიანი მეფობა დავით V-ისა და მისი სიკვდილი.

1155 **წ.** - შეფედ აღდგენა დემეტრე I-ისა.

1156 **წ.** გარდაცვალება დემეტრე I-ისა.

1156-1184 **წწ.** - მეფობა გიორგი III-ისა.

1161 **წ.** - გიორგი III-მ აიღო და დაიჭირა ანისი.

1161 **წ.** - გიორგი III-მ გაანადგურა 80000-ანი მუსლიმანური მხედრობა, რომელსაც მოუძღვოდნენ: შაჰ-არმენ სულტან ნასირ ადდინ სუკმან II, დიარბექირის ამირა კუტბ ადდინ ილღაზი და არზრუმის ამირა ალ-მელიკ ხალიკ-ხალდუხი.

1161 **წ.** - გიორგი III წარმატებით ლაშქრობს არზრუმს და ტყვედ მოჰპაეს თვითონ არზრუმის ამირა.

1162 **წ.** - გიორგი III-მ აიღო ღვინი და გაგვი.

1166 **წ.** - ქართველთა „უცხო“ ხასიათის (მძარცველური) ლაშქრობანი: ტაოულები, კლარჯულები და შავშელები არბევენ ოლთისსა და ბანას; მესხები და თორელები - კარსა და აშორნიას;



ქვემოქართველნი - ირანს განსამდის; იმერლები და ქართველები - განძას; კახელები და ჰერები - შირვანს.

1166 წ. - გიორგი III-ს, დედოფალი ბურდუხანისგან, შეეძინა ასული - მომავალი დიდი ხელმწიფე საქართველოსი.

1167 წ. - გიორგი III-მ ილაშქრა შირვანს და დაიპყრო: მუსკური, შარაბამი, შაბურანი და დარუბანდი.

1167 წ. - გიორგი III წარმატებით ლაშქრობს ბახიანს, ნახჭევანს, მახისს, ლალუას, ბარდავს და ბელაყანს.

1173 წ. - გიორგი III ხელახლა იღებს ანისს.

1177 წ. - გიორგი III-ის დასამხოზად შეთქმულებას აწყობს მისი ძმისწული დემნა ბატონიშვილი. შეთქმულება დამარცხდა. მეფემ შეთქმულნი ხასტიკად დასაჯა.

1178 წ. - გიორგი III-მ თანამოსაყდრედ (თანამმართველად) დაიხვა თავისი ასული თამარ, მაშინ თორმეტი წლისა.

1178-1186 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი მიქელ IV.

1184 წლის მარტი - გარდაცვალება გიორგი III-ისა.

1184-1210 წწ. - მეფობა თამარ მეფისა.

1184 წ. - ფუთლუ-არსლანის „ისნის კარავის“ კაზუსი - თავისი „დახისთვის“, უმაღლესი სამეფო ხელისუფლების განკვეთა: საკანონმდებლო - „ისნის კარავს“, აღმასრულებელი - მეფეს. თამარის დიპლომატიურ-ზნეობრივი ტაქტი (წარჩინებულ ქალთა ელჩობა) და „ისნელთა“ მარცხი.

1185 წ. - თამარის პირველი ქორწინება (მისდა უნებური) - იური (გიორგი) რუსზე.

1186 წ. - ქართველთა ლაშქრობანი, გიორგი რუსის მეთაურობით, და თურქთა განადგურება კარს, კარნიფორას და ბახიანს.

1186-1206 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი თეოდორე II.

1187 წ. - ქართველთა წარმატებულნი ლაშქრობანი, გიორგი რუსის მეთაურობით, ირანსა და პართიაში.

1187 წ. ქართველები, ისევ გიორგი რუსის სარდლობით, გელაქენში ანადგურებენ იქ უცვლელად შემოჭრილ თურქმანთა ურდოს.

1187 წ. — ქართველები, ისევ გიორგი რუსის სარდლობით, ანადგურებენ შამიდან საქართველოსკენ მოსწრაფე მუსლიმანურ მხედრობას.

1187 წ. — ქართველები, ასათ გრიგოლისძის, ვარდან დადიანისა და გიორგი რუსის წინამძღოლობით, წარმატებით ლაშქარეუნი განძას, ბელაყანს და რახსის სანაპიროებს.

1187 წ. — თამარისგან მისი ძეგლის, გიორგი რუსის, უკიდურესი ზნედაცემულობისათვის, განტეგება და გასახლება კონსტანტინოპოლს.

1189 წ. — თამარის მეორე ქორწინება, დავით სოსლანზე.

1191 წ. — ფეოდალთა აჯანყება, გიორგი რუსის „გამოყენებით“. ბრძოლა ნიალის ველზე. ფეოდალთა მარცხი.

1193 წ. — თამარს შეეძინა ძე, გიორგი ლაშა.

1193 წ. — ქართველთა ძლევა მოხილი ლაშქრობა ბარდავს.

1193 წ. — ქართველთა ძლევა მოხილი ლაშქრობა არზრუმს (კარნუ-ქალაქს), დავით სოსლანის სარდლობით.

1193 წ. — ქართველები, დავით სოსლანის სარდლობით, ძლევა მოხილად ლაშქრობენ — ხაჩიანს, ყარყარისს, ბელაყანს, განძას.

1193 წ. — ქართველები, დავით სოსლანის სარდლობით, ლაშქრობენ „გელაქენს, სპარსი-ბაზარსა და გორალაუქს“.

1193 წ. — ქართველები წარმატებით ლაშქრობენ ამბერდს, ბიჯინის და გარნისთან ანადგურებენ თურქთა დიდ მხედრობას.

1193 წლის პიჭურულს — ისევ გამოჩნდა გიორგი რუსი, სპარსთა ჯარით. დაუხვდა ხორნაბუჯის ერისთავი, ხადირ მანატლისძე, სასტიკად დაამარცხა და სამუდამოდ გააქცია გიორგი რუსი.

1194 წ. — თამარს შეეძინა ასული, რუსუდან.

1194 წლის 16 თებერვლი — დიდი ბრძოლა შამქორს. ქართველები



დავით სოსლანის სარდლობით, სასტიკად ამარცხებენ ბუბაქანის სარდლობით შეყრილ მუსლიმანთა კოალიციურ ურდოს გამძღვრველებს. გმირები: თვითონ დავით სოსლანი, შალვა ახალციხელი და მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი ანტონი გლონისთავისძე.

1196 წ. - ქართველები ლაშქრობენ და იმტკიცებენ გელაქუნს და ამბერდს.

1201 წ. - ქართველები ერთხელ კიდევ იპყრობენ ბიჯნისს.

1202 წ. - ერთდროულად - თვითონ თამარმა დალაშქრა ღვინი, ხოლო დავით სოსლანმა განძა.

1203 წ. - ქართველები, დავით სოსლანის სარდლობით, ანადგურებენ ადარბადაგანისა და სომხეთის მიწებზე ჩამდგარ თურქულ ციხიონებს. აიღეს და დაიჭირეს: არჭემი, მანასკერტი და ატ-ტინი.

1203 წ. - საქართველოში ჩამოდიან საბერძნეთის ქართულ სავანეთა მოღვაწენი. თამარმა ისინი „მრავალ დღე არ გაუშვნა“ და თავისთან იყოლია; უკან გაბრუნებისას კი „მისცა დიდძალი ოქრო“ და ისე გაუშვა ძვირფასი მისართმეველით დატვირთულნი. კონსტანტინოპოლის გავლისას, ქართველი სამღვდელონი პირდაპირ გაძარცვა კეისარმა ალექსი III „ანგელოზმა“. თამარმა დაზარალებულ თვისტომ მოღვაწეებს ახალი, „სხვა უფროსი“ ოქრო გაუგზავნა; ხოლო თვითონ, მძარცველ კეისარზე გარისხებულმა, ჯარები დასძრა შავი ზღვისაკენ. აქ მან დაიპყრო ძველი ქართული პონტოს ქვეყანა - „ლაზია, ტრაპიზონი, ლიძანი, სამსინი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, ერაკლია და ყოველნი ადგილნი ყებლალონისა და პონტოსანი“. ამით ბაზაზე თამარი აყალიბებს ახალ, თავის ქვეშევრდომ სახელმწიფოს - „ტრაპიზონის იმპერიას“, რომელსაც სათავეში უყენებს თავის ნათესავ ალექსი კომნენოსს.

1203 წ. - ხლათის სულტანის, არზრუმის ამირას და რუმ-იკონიის სულტნის გაერთიანებული მხედრობანი ამარცხებენ ქართველთა ჯარს, რომლის სარდალიც, ზაქარია ვარამის ძე



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

მხარგრძელი („უმცროსი ზაქარია“) ბრძოლაში იღუპება. სისხლის
და რევანშის ასაღებად, ქართველთა ახალი ჯარით მიეშურება ზაქარია
სარგისის ძე მხარგრძელი („უფროსი ზაქარია“), მაგრამ ისიც
მარცხდება და უკუიქცევა მარცხნაჭამი და სისხლდანიანქცევი.

1204 წ. – თამარი ხლათში აგზავნის ჯარს, დავით სოსლანის
მეთაურობით. ქართველები იჭრებიან ხლათს და ანადგურებენ იქ
მდგარ თურქობას. მას უკან მიადგებიან ქალაქ კარს. კარს გაძლიანდა.
ბოლოს დანებებაზე თანხმობა განაცხადა, უკეთუ თვითონ თამარი
მივიდოდა და შეწყალებას თავის პირით შეჰპირდებოდა. თამარიც
მივიდა, თერთმეტი წლის ლაშაც წარიტანა. თამარმა ალყაში
მოქცეულთა პატიება და შეწყალება ბრძანა. კარის მეციხოვნეებმაც
ქალაქის გასაღები მოართვეს ყრმა უფლისწულს. თამარი ამ ქალაქს
სამმართველოდ და საპატრონოდ გადასცემს შალვა ახალციხელს.

1204 წ. – რუმ-იკონიის სულტანის რუქნ ად-დინის თავზედური
წერილი თამარისადმი. ქართველთა გალაშქრება დავით სოსლანის
სარდლობით. დიდი ბრძოლა ბასიანს. ქართველები სასტიკად
ამარცხებენ რუქნ ად-დინს და მის უზარმაზარ მხედრობას.

1206-1208 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი ბასილი IV.

1207 წ. – სიკვდილი დავით სოსლანისა.

1207 წ. – თამარი თანამოსაყრედ აცხადებს თავის ძეს, თორმეტი
წლის გიორგი ლაშას.

1207 წ. – ქართველები სომეხთა მისაშველებლად ლაშქრობენ
არტეშს და ანადგურებენ იქ თურქული მხედრობით შემოჭრილ ნეჯმ
ად-დინ აიუბს.

1208-1210 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი იოანე V, „ანგელოზთა
სწორი“.

1208 წ. – ქართველები ლაშქრობენ ხლათს და, მათი სარდლის,
იოანე მხარგრძელის დაუდევრობის წყალობით, მარცხდებიან. თვითონ
მხარგრძელი ტყვედ ჩავარდა.



1208 წ. - არდაველს თურქთა შემოსევა და სომეხთა ამოწვევა.
 ქართველები შურს იძიებენ: არდაველს ჩაუხტებიან და, სომეხთა
 სისხლის საფასურად, 12000 მუსლიმს გაწვევტენ.

1209 წ. - ქართველები წარმატებით ლაშქრობენ სპარსეთს.

1210 წ. - გარდაცვალება თამარ მეფისა.

1210-1222 წწ. - მეფობა გიორგი IV ლაშასი.

1210 წ. - განძის განდგომა. გიორგი ლაშასგან ძისი დალაშქვრა
 და ხელახალი დახარკვა.

1211 წ. - გიორგი ლაშა წარმატებით ლაშქრობს და ხელახლა
 იპყრობს ნახიჭევანსა და ოროტნს. ხელახლა ლაშქრავს და
 იმორჩილებს ხლათის სულტანს და კარნუ-ქალაქს (არზრუმის) ამირას.

1211 წ. - ქართველები შალვა ახალციხელის წინამძღოლობით
 იღებენ და იმტვიცებენ კეჩროლს.

1219 წ. - რომის პაპი ჰონორიუს III გიორგი ლაშას ეპისტოლეს
 უგზავნის და იწვევს ჯვაროსნულ ლაშქრობაში, პალესტინის წმიდა
 ადგილთა დასახსნელად.

1220-1222 წ. - კათოლიკოს-პატრიარქი ექვთიმე II.

1220 წ. - ქართველთა და მონღოლ-თათართა პირველი საო-
 მარი შეხვედრა. ქართველთა მარცხი.

1221 წ. - ქართველთა და მონღოლთა მეორე საომარი შეხვედრა.
 მონღოლთა უკუქცევა.

1222 წლის 18 თებერვალი - გარდაცვალება გიორგი IV
 ლაშასი.

1222-1245 წწ. - მეფობა რუსუდან დედოფლისა.

1222 წ. - ქართველები ლაშქრავენ და ხელახლა იპყრობენ
 განდგომილ ბაილაყანს.

1222-1225 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი არსენი III.

1223 წ. - ქორწინება რუსუდან დედოფლისა და არზრუმის
 სულტნის ძე მოღის ედ-დინს შორის.



1224 წ. - ვიეჩაყთა შემოსევა შირვანის მხრიდან მხარგრძელის მარცხი.

1224 წ. - მეორე გამოლაშქრება ვიეჩაყებისა. ქართველები ამჯერად, შალვა ახალციხელის ხარდლობით, სასტიკად ამარცხებენ ვიეჩაყებს.

1225-1230 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი IV.

1225 წ. - ჯალალ ად-დინის შემოსევა. ბრძოლა გარნისთან. ქართველთა მარცხი, მთავარსარდალ ივანე მხარგრძელის უმოქმედობის, ან შესაძლოა, ღალატის წყალობით.

1225 წ. - მოწამებრივი სიკვდილი შალვა ახალციხელისა.

1226 წ. - ჯალალ ად-დინის ბრძოლა ტფილისთან. შესხთა გმირობა. შინა ღალატი და ტფილისის დაცემა. ჯალალ ად-დინი ტფილისში. მარცვა, რბევა-აოხრება, 100000 ტფილისელის გაწვევტა.

1228 წ. - ჯალალ ად-დინისა და ქართველთა ახალი საომარი შეხვედრა ბოლნისის ახლოს. ქართველთა მარცხი.

1230-1240 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი არსენი IV ბულშაისის ძე.

1230 წ. - მონღოლთა შემოსევა. ტფილისის დაცემა და მონღოლთა თარეში „ქართლს, თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, ტაოს, კოლას, არტანს, ანისს...“

1240-1280 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ II.

1245 წ. - გარდაცვალება რუსუდან დედოფლისა.

1245-1249 წწ. - უმეფობა საქართველოში.

1247 წ. - კონტასთავის შეთქმულება. ცოტნე დადიანის გმირობა.

1249 წ. - ორმეფობის დასაწყისი - მეფე დავით VI ნარინი (რუსუდან დედოფლის ძე) და მეფე დავით VII ულუ (მეფე გიორგი ღამას ძე).

1254 წ. - მონღოლთაგან მოხახლეობის აღწერა საქართველოში.

1256 წ. - ალაშუთის ციხესიმაგრის აღება ქართველთა და მონღოლთა მიერ.



1256 წ. - დავით ნარინის შეპყრობა მონღოლთაგან, ვანის ტბასთან. დავითის ტყვეობიდან გაქცევა და მისი აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ. პირველი შეტაკება თორს. ქართველთა გამარჯვება. დავით ნარინი დამოუკიდებელ ტახტს იღვამს ქუთათისს. ორტახტიანობის დასაწყისი საქართველოში.

1258 წ. - მონღოლთა ყაენი ჰულაგუ და დავით ულუ - ქართველთა მეფე, იღებენ ბაღდადს.

1260 წ. - დავით ულუს შეეძინა ძე, დემეტრე (დიმიტრი) - მომავალი „თავდადებული“.

1260 წ. - მონღოლები (ჰულაგუ ყაენი) და ქართველები (დავით VII ულუ) წარმატებით ლაშქრობენ ეგვიპტეში.

1260 წ. - დავით ულუს აჯანყება მონღოლთა წინააღმდეგ.

1260 წ. - ქართველთა და მონღოლთა შეტაკება ტაშისკარს. ქართველთა გამარჯვება.

1261 წ. - მონღოლთა შემოსევა სამცხეს. ბრძოლა ციხისჯვართან. ქართველთა გამარჯვება.

1262 წ. - შერიგება ჰულაგუ ყაენსა და დავით ულუს შორის.

1262 წ. - ქართველთა „წინამბრძოლობის წესით“, ჰულაგუ ყაენი დარუბანდთან ამარცხებს ოქროს ურდოს ყაენს, ბერქას.

1263 წ. - საეკლესიო კრება, რომელზეც კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ II ამოდ ცდილობს აღკვეთოს საერო ფეოდალთაგან ტაძრებზე შეწირული ყმისა და მამულის უკანვე „გამოწირვა“.

1263 წ. - დავით VII ულუს გარდაცვალება.

1271-1289 წწ. - მეფობა დემეტრე II თავდადებულისა.

1275 წ. - ქუთათისის პირველი დარბევა მონღოლთაგან. რაჭის ერისთავის, კახაბერ კახაბერისძის ღალატი.

1277 წ. - ქართველთა ელჩობა პარიზში, მეფე ფილიპე III ლამაზთან, და ლონდონში, მეფე ედუარდ I-თან.

1277 წ. - დემეტრე II 3000 ქართველით მონაწილეობს ბრძოლებში მონღოლებთან ერთად, ეგვიპტელთა წინააღმდეგ.

1278 წ. - ქართველები კვლავ „წინამბრძოლობის“ მონაწილეობენ მონღოლთა ლაშქრობაში, გილანის დასაპყრობად.

1278 წ. - ქუთათისის მეთორედ დარბევა მონღოლთაგან. კვლავ კახაბერისძის დღღატი.

1278 წ. - მოღალატე კახაბერისძის დასჯა დავით ნარინისაგან.

1280-1310 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი აბრამ I.

1280 წ. - სირიაში, ქალაქ დარბუზაკის აღებაში, მეწინავენი არიან კვლავაც ქართველები (ამჯერად, ბექა ჯაყელი და მისი მესხები).

1281 წ. - ამასიასთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში, ისევ ქართველთა (დემეტრე მეფე ორასი ქართველით) „წინამბრძოლობის“ წყალობით, მონღოლები ამარცხებენ ეგვიპტელებს.

1285 წ. - დავით VI ნარინს ქართული ჯარები შეჰყავს ტრაპიზონ-პონტოში და უმორჩილებს თავის გვირგვინს ამ ძველ ქართულ ქვეყანას.

1289 წლის 12 მარტი - მონღოლთაგან სიკვდილით დასჯა მეფე დემეტრე II „თავდადებულისა“.

1289-1293 წწ. - მეფობა ვახტანგ II-ისა.

1293-1313 წწ. - მეფობა დავით VIII-ისა.

1293 წ. - გარდაცვალება მეფე დავით VI ნარინისა.

1293-1327 წწ. - მეფობა კონსტანტინე I-ისა, იმერეთში.

1297 წ. - მონღოლთა ხელმწიფე, ვაზან ყაენი ურდოში მიჰყვას მეფე დავით VIII-ს. დავითი წახვლაზე უარს ამბობს და თავს აფარებს არაგვის ხეობას (ეინვალს).

1299 წ. - უფლისწულ ვახტანგის (დავით VIII-ის ძმა) მეთაურობით, ქართველთა მონაწილეობა მონღოლთა ლაშქრობაში ეგვიპტელთა წინააღმდეგ.

1300 წ. - მონღოლ-თათართა მარბიელი ლაშქრობა საქართველოში.



1300 წ. — გიორგი V-ის პირველი „გამეფება“ (ათი-თურთმეტყველების ასაკში).

1301 წ. — მონღოლთა მორიგი შემოსევა.

1301 წ. — შიმშილობა ქართლში (ასევე ირანში, მესოპოტამიაში, ეგვიპტეში). ბექა ჯაყელის მეუღლის, ვახახის სიქველე: იგი აპურებს ქართლიდან მესხეთში ლტოლვილ მშობერ ხალხს.

1302 წ. — ტყეფლისში მოდის და მეფედ ჯდება ვახტანგ III, მაშინ როცა მისი ძმა დავით VIII კვლავ მთიულეთშია, გველეთის ციხეში.

1302-1308 წწ. — მეფობა ვახტანგ III-ისა.

1302 წ. — მესხები ანადგურებენ ახატ-მოსეს და მის თურქულ ურდოს.

1303 წ. — ვახტანგ III თავისი ჯარით ისევ მონაწილეობს მონღოლთა შემწვდ ეგვიპტელთა წინააღმდეგ ომში.

1305 წ. — ვახტანგ III მონაწილეობს მონღოლთა ლაშქრობაში გილანის წინააღმდეგ. ლაშქრობა მთავრდება მარცხით.

1308 წ. — გარდაცვალება ვახტანგ III-ისა.

1310-1325 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი ექვთიმე III.

1311-1313 წწ. — „მეფობა“ გიორგი VI მცირისა.

1313 წ. — გარდაცვალება დავით VIII-ისა.

1314-1346 წწ. — მეფობა გიორგი V ბრწყინვალისა.

1315 წ. — ქართველები მონაწილეობენ მონღოლთაგან მცირე აზიის აჯანყების ჩაქრობაში.

1316 წ. — „ძველისდადება“ გიორგი V ბრწყინვალისა.

1325-1330 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი მიქელ V.

1327-1329 წწ. — მეფობა მიქელისა იმერეთში.

1329 წ. — გიორგი V ბრწყინვალე იერთებს მთელ დასავლეთ საქართველოს.

1330-1350 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი ბასილი V.

1334 წ. — გიორგი V ბრწყინვალე იერთებს შქსხეთს.



- 1335 წ. - მონღოლთა უღლის დამხობა საქართველოში, ბრწყინვალის წინამძღოლობით.
- 1335 წ. - დარბაზობა ცივის მთაზე, მონღოლთა უღლის დამხობის შემდგომ. გიორგი ბრწყინვალე სიკვდილით სჯის ქვეყნის მოღალატეებს.
- 1335 წ. - სულტან ორხანისა და მისი თურქულ-ოსმალური ჯარების განადგურება ქართველთაგან კლარჯეთში.
- 1340--1341 წწ. - გიორგი ბრწყინვალეს ჯარები შეჰყავს და თავის სამეფო სამანებში მიაქცევს პონტო-ტრაპიზონის მხარეს.
- 1341 წ. - გიორგი ბრწყინვალისგან აღდგენილია საქართველოს სახელმწიფო მთელი სისრულით - „ნიკოფსიითგან დარუბანდამდის“.
- 1346 წ. - გარდაცვალება გიორგი V ბრწყინვალისა.
- 1346-1360 წწ. - მეფობა დავით IX-ისა.
- 1350-1356 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დიორთეოს I.
- 1356-1364 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი შიო I.
- 1358 წ. - ირანელ მონღოლთა შემოჭრა მელიქ-აშრაფის სარდლობით. ბიჯნისის აღხრება სომხეთში. ქართველთა გალაშქრება, მონღოლთა მარცხი და უკუქცევა.
- 1360-1393 წწ. - მეფობა ბაგრატ V დიდისა.
- 1364-1380 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ III.
- 1366 წ. - შავი ჭირი საქართველოში. ამ ხენს ემსხვერპლა ბაგრატ V-ის მეუღლე, ელენე დედოფალი.
- 1380-1397 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი გიორგი V.
- 1386 წ. - თემურლენგის პირველი შემოსევა. ტვილისის დაცემა. ბაგრატ V-ის და მისი ოჯახის ტყვედ წაყვანა სამარყანდს.
- 1387 წ. - ბაგრატ V-ის ტყვეობიდან დაბრუნება. გზაზე, ჩახაფრებულ ქართველთაგან 12000 თემურიანის გაუღუტა.
- 1387 წ. - თემურლენგის მეორე შემოსევა.
- 1387-1389 წწ. - მეფობა ალექსანდრე I-ისა იმერეთში.
- 1389-1392 წწ. - მეფობა გიორგი I-ისა იმერეთში.

- 1393 წ. – თემურლენგის მესამე შემოსევა.
 1393 წ. – გარდაცვალება ბაგრატ V დიდისა.
 1393-1407 წწ. – მეფობა გიორგი VII-ისა.
 1394 წ. – თემურლენგის მეოთხე შემოსევა.
 1399 წ. – თემურლენგის მეხუთე შემოსევა.
 1399-1411 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი ელიოზ გობირაზისძე.
 1400 წ. – თემურლენგის მეექვსე შემოსევა.
 1401 წ. – თემურლენგის მეშვიდე შემოსევა.
 1403 წ. – თემურლენგის მერვე შემოსევა.
 1405 წ. – თემურლენგის სიკვდილის შემდეგ, მეფე გიორგი VII-მ თათრებს წაართვა ნახიჭევანი და განჯა.
 1406 წ. – ქართველებმა თათართაგან გაანთავისუფლეს და შემოიერთეს ანი და არზრუმი.
 1406 წ. – ალათაღთან გამართულ ბრძოლაში, გიორგი VII-მ 5000 ქართველით გაანადგურა 15000 თათარი მახზარი; გაქცეულებს თავრიზამდე მისდია ჩეხვით.
 1407 წ. – თურქმანთა ახალი გვარჯილაგის, „შაჰბატკნიანების“ (ყარა-ყონღუ) შემოსევა. ქართველები მარცხდებიან. ბრძოლაში გმირის სიკვდილით ეცემა მეფე გიორგი VII.
 1407-1411 წწ. – მეფობა კონსტანტინე I-ისა.
 1411 წ. – ახალი ბრძოლა „შაჰბატკნიანთა“ არმიასთან, ჩალღანთან (შირვანში), მეფე კონსტანტინე I-ის დაღუპვა.
 1411-1426 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი შიქელ VI.
 1412-1442 წწ. – მეფობა ალექსანდრე I დიდისა.
 1415 წ. – ალექსანდრე I-ს განუდგა სამცხის ათაბაგი ივანე ჯაყელი. კონტასთავთან მომხდარ ბრძოლაში ალექსანდრე იმარჯუებს და ათაბაგს ატყვევებს.
 1426-1430 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი დავით II.
 1430-1435 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი თეოდორე III.
 1431 წ. – ქართველები ღორეს ათავისუფლებენ თათართაგან.



საქართველოს
საქართველოს
საქართველოს

1431 წ. - სვეტიცხოველის „ახლადშენების“ დასასრულს კურთხევა.

1432 წ. - ქართველები, ბეშქენ ორბელიანის მეთაურობით, საქართველოს უერთებენ სივნიყოს (ყარაბაღი).

1435-1439 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დავით III გობელაძე.

1440-1443 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი შიო II.

1442-1446 წწ. - მეფობა ვახტანგ IV-ისა.

1443-1459 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დავით III გობელაძე (მეორედ).

1444 წ. - ირანელების შემოჭრა სამცხეს, ჯეჰან-შაჰის მეთაურობით. ბრძოლა ახალციხესთან. უკუქცევა ირანელებისა.

1446-1466 წწ. - მეფობა გიორგი VIII-ისა.

1447 წ. - ბრძოლა სამცხეში ათაბაგის ტახტისათვის, აღბუღასა და ფარეჯარეს შორის. გიორგი VIII-მ ათაბაგობა აღბუღას დაუმტკიცა.

1451 წ. - აღბუღა კვდება და გიორგი VIII სამცხის ათაბაგობას უმტკიცებს ფარეჯარეს.

1459 წ. - რომის პაპი პიუს II ახალ „ჯვაროსნულ ომში“ იწვევს ქართველთა მეფეს. გიორგი VIII ემზადება, მაგრამ „ჯვაროსნული ომი“ თურქთა წინააღმდეგ საერთოდ არ შედგება.

1460-1466 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი მარკოზი.

1462 წ. - გიორგი VIII-ს განუდგა სამცხის ათაბაგი ფარეჯარე II, რომელმაც მოკავშირედ ირანის შაჰი უზუნ-ჰასანიც კი მოიწვია თავის მხედრობით. ბრძოლა მოხდა და გიორგი დამარცხდა.

1463 წ. - გიორგი VIII-ს განუდგა იმერეთის მმართველი ბაგრატ. ბრძოლა მოხდა ჩხოროთან. გიორგი მეფე დამარცხდა. ბაგრატმა თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა.

1465 წ. გიორგი VIII ისევ მიემართება სამცხის ათაბაგის, ფარეჯარე II-ის დასახველად. ფარავნის ტბასთან დამისთევისას, გიორგი შეთქმულთა ხელით სიკვდილს, საკუთარი სიცოცხლის



გაწირვით, გადაარჩინა იოთამ ზეგდგინიძემ. იქვე, ფარაენის ტყეში, მკვდარს დაუცა და ტყვედ აიყვანა ყვარყვარე ათაბაგმა.

1466 წ. ქუთათისიდან გადმოიჭრა, ტფილისი ხელთ იგდო და „ერთიანი საქართველოს მუყუდ“ თავი გამოაცხადა ბაგრატ იმერთა მუყუდ ამიერიდან ბაგრატ VI-მ. ყვარყვარე ათაბაგს ეს არ მოეწონა და ტყვეობიდან გამოუშვა გიორგი VIII. გიორგიმ კი ტფილისის ტახტი ვერ დაიბრუნა, კახეთს წავიდა და იქ გამეფდა - ამიერიდან გიორგი I-ის სახელით.

1466-1478 წწ. მეფობა ბაგრატ VI-ისა იმერეთ-ქართლში.

1466-1476 წწ. მეფობა გიორგი I-ისა (ყოფილი გიორგი VIII-ისა), კახეთში.

1466-1479 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი დავით IV.

1476-1511 წწ. მეფობა ალექსანდრე I-ისა კახეთში.

1477 წ. - ირანელების შემოსევა, უზუნ-პასანის მეთაურობით. ტფილისის, გორის და სამცხის აკლესია-აოხრება.

1479-1505 წწ. მეფობა კონსტანტინე II-ისა იმერეთ-ქართლში.

1480-1492 წწ. კათოლიკოს-პატრიარქი ევაგრე.

1483 წ. ბრძოლა არადეთთან, მეფე კონსტანტინე II-სა და ათაბაგ ყვარყვარე II-ს შორის. იმარჯვებს ყვარყვარე.

1484-1510 წწ. მეფობა ალექსანდრე II-ისა იმერეთში.

1486 წ. - ირანელების შემოსევა, იაფუბ-ყაენის მეთაურობით. აღება და გამარცხვა ახალქალაქისა, ახალციხისა, აწყურისა და დმანისისა. სულხან ბარათაშვილის გმირობა: საბარათიანოს ქარიჯელებით იგი დაესხმის ნადავლით მიმავალ მტერს და ერთიანად უღელტს. მათ ხარდალხაც საკუთარის ხელით ჰკლავს.

1488 წ. - იაფუბ-ყაენი ახალ მარბიელ მხედრობას აგზავნის საქართველოში, ხალილ-ბეგის ხარდლობით. ქართველები სასტიკად ანადგურებენ მტერს, ჭანდართან და კუშისთან გამართულ ბრძოლებში.

1489 წ. - ალექსანდრე II იმერეთის ტახტს ართმევს კონსტანტინე II-ს.



1490 წ. — ირანელთა ახალი შემოსევა, ისევ ხალიფების სარდლობით. ქართველების გამარჯვება, ენაგეოსა და ხაზინების ხეცს გამართულ ბრძოლებში.

1490 წ. — შეხვედრა ტფილისში, — ქართლის მეფე კონსტანტინე II, კახეთის მეფე ალექსანდრე I და სამცხის ათაბაგი ვვარყვარე II ხელს აწერენ საქართველოს დაშლას, „თავთავიანთ საქართველოთა“ საზღვრების დადგენით.

1491 წ. — კახეთის მეფე ალექსანდრე I ელჩობას აგზავნის მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-სთან.

1492-1497 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი აბრამ II აბალაკი.

1494 წ. — კონსტანტინე II ქართლის მეფის ელჩი, ნილო, დიპლომატიური მისიით — ეგვიპტეს, ქაიროში, მამლუქი ხალიფას, ამრავ სეიფ აღ-დინ კაიტ-ბეის წინაშე. იმავე წელს — ესპანეთის ელჩები ტფილისში.

1495 წ. — კონსტანტინე II ესპანელ ელჩებთან ერთად ვეროპაში აგზავნის ნილოს, წერილებით — ესპანეთის დედოფალ იზაბელასადმი და რომის პაპ ალექსანდრე IV-ისადმი.

1497-1500 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი ევგენი I.

1500-1503 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი ევაგრე (მეორედ).

1501 წ. — ბრძოლა შარურთან (ნახიჭევანში), ირანის შაჰის ტახტისათვის, ისმაილსა და ალექსანდრე შორის. ისმაილს ქართველები ესმარებიან და კიდევაც იმარჯვებენ. ისმაილი ადის შაჰის ტახტზე.

1503 წ. — შაჰ ისმაილი, ისევ ქართველთა დახმარებით, ანადგურებს კიდევ ერთ ტახტის მოცილეს, მურადს.

1503-1510 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი დოროთეოს II.

1505-1525 წწ. — მეფობა დავით X-ისა ქართლში.

1509 წ. — თურქ-ოსმალთა მალხარი ღამქრობა ქუთათის, გელათს.

1510-1565 წწ. — მეფობა ბაგრატ III-ისა იმერეთში.



1510-1511 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი დიონისე.

1510 **წ.** - იმერეთის მეფე ალექსანდრე II იჭრება ქართლში და იჭერს გორს, მაგრამ იმის გამო, რომ მამის იმერეთს ოსმალები შემოესივნენ, გორს მიატოვებს და ისევ იმერეთს ბრუნდება.

1511 **წ.** - კახეთის მეფე ალექსანდრე I-ს ჰკლავს მისი ძე გიორგი (ავგიორგი), მძას თვალებს თხრის და კახეთის ტახტს თვითონ იმტკიცებს მამის მკვლელი.

1511-1513 **წწ.** - მეფობა გიორგი II-ისა (ავგიორგი) კახეთში.

1511 **წ.** - კახეთის მეფის, გიორგი II-ის (ავგიორგის) ლაშქრობა ქართლში.

1511-1516 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი დოროთეოს II (მეორედ).

1513 **წ.** - კახეთის მეფე გიორგი II (ავგიორგი) კვდება ქსნის ციხის ტყვეობაში, ხოლო კახეთს იერთებს ქართლის მეფე დავით X.

1517-1528 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი ბასილი VI.

1518 **წ.** - ირანის ხელმწიფე შაჰ ისმაილი (ქართველებმა რომ ტახტზე აიყვანეს) დიდძალ მხედრობას აგზავნის დივ სულთან რუმელუსა და სამცხის ათაბაგ ყვარყვარე III-ის სარდლობით. სპარსელები და მესხები ერთიანი ძალებით იღებენ სურამს და გორს. ირანელმა სარდალმა ქართლი დახარკა, მძევლად დავით X-ის ძე, რამაზ ბატონიშვილი წაიყვანა და ირანს გაბრუნდა. კახელებმა ქართლის მეფის მარცხით ისარგებლეს და კახეთში ლეკან უფლისწული (აქამდე გადამალული) გაამეფეს.

1520-1574 **წწ.** - მეფობა ლევანისა კახეთში.

1521 **წ.** - კახელთა ლაშქრობა შაქში.

1522 **წ.** - ირანელთა (შაჰ ისმაილი) მორიგი შემოსევა. დიდი ბრძოლა თელეთთან. ლუარსაბ ბატონიშვილის (მოძაკალ მეფე ლუარსაბ I) ამით გამირობა. ტფილისის დაცემა - შინა დალატოთ.

1524 **წ.** - ქართველები შაჰ ისმაილის სიკვდილით სარგებლობენ,



ტფილისსაც დაიხსნიან, აღჯაყალას მდგარ ირანელებსაც ამოწმებენ და ქართლს მტრისგან გაწმენდენ.

1524-1527 წწ. - მეფობა გიორგი IX-ისა ქართლში.

1527-1556 წწ. - მეფობა ლუარსაბ I-ისა ქართლში.

1528-1538 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი მალაქია.

1533 წ. - „ორი მაძიას“ (დადიანი და გურიელი) ლაშქრობა ჯიქეთს.

1535 წლის 12 აბსისტო - ბრძოლა მურჯახეთთან (ჯავახეთს), იმერეთის მეფე ბაგრატ III, ლევან I დადიანისა და როსტომ გურიელის დახმარებით, ამარცხებს ათაბაგ ყვარყვარე III-ს და სამცხეს უერთებს იმერეთს.

1538-1541 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ II ბაგრატიონი.

1541 წ. - ირანის ხელმწიფის, შაჰ თამაზ I-ის შემოსევა, ტფილისის დაცემა (კვლავ შინაღალატით). ლუარსაბ I ათავისუფლებს ტფილისს.

1541-1547 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი გერმანე.

1543 წ. - ოსმალეთის სულთანი სულეიმანი სამცხის ხელახლა მისატაცებლად და იმერეთის დასახველად, მუხა ფაშას ხარდლობით აგზავნის 22000 იანიჩარს. ბაგრატ იმერთა მეფემ და როსტომ გურიელმა, ქარაღაქთან გამართულ ბრძოლაში, ოსმალები სასტიკად დაამარცხეს. მუხა ფაშაც მოკვლეს.

1545 წ. - ოსმალთა ახალი შემოსევა. ბრძოლა სოხოისტას (ბახიანში). ლუარსაბ I-ის, ბაგრატ III-ის და როსტომ გურიელის ერთიანი ქართული ლაშქარი მარცხდება. სამცხე ისევ ოსმალეთის სამანებში ექცევა.

1547-1550 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი სვიმონ V.

1549 წ. - ოსმალთა მალხარი ლაშქრობა სამცხეს, აჰმედ ფაშას ხარდლობით. თორთუმის დაცემა, ჭანეთის დაპყრობა ოსმალთაგან.

1550-1557 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ზებედე I.



1551 წ. - შაჰ თამაზ I-ის მეორე შემოსევა; სამცხის აწიოკება.
ვარძიის გამარჯვა და დაქვევა.

1551 წ. - კახელები მეორედ ლაშქრობენ შაქს.

1554 წ. - შაჰ თამაზის მესამე შემოსევა. იხევ ტფილისის დაცემა, იხევ შინაღლატიო. ტყვეთა გარეკვა, მათ შორის ლუარსაბ I-ის დედისა და დისა.

1555 წ. - ამასიის ზავი: სპარსეთი და ოსმალეთი იფოფენ საქართველოს.

1556 წ. - ბრძოლა გარისტან. ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვება ყიზილბაშებზე. ლუარსაბ I-ისა და სვიმონ I-ის გმირობანი. ლუარსაბის აღსასრული.

1556-1600 წწ. - მეფობა სვიმონ I-ისა ქართლში.

1561 წლის 6 აპრილი - ბრძოლა ციხედითან ყიზილბაშებსა და ქართველებს შორის. თითქმის მოკვებული ბრძოლა ქართველებმა წააგეს, გუშაგ გერმანოზიშვილის ბრძვეული დაუდევრობის მიზეზით.

1561 წ. - ლევან კახთა მეფე ჯარს თხოვს რუსეთის მეფეს, ივანე IV მრისხანეს. ლევანმა მიიღო და შეიღი წელიწადი (1564-1571) იყოლია რუსის ჯარი კახეთში.

1562 წ. - პირველი გათათრებული ქართველი ბატონიშვილი, დავით ლუარსაბის ძე, სვიმონ I-ის მომდევნო ძმა - ახალი სახელით დაუდ-ხანი. შაჰ თამაზი დაუდ-ხანს აძლევს ირანულ მხედრობას და ავზაენის ტფილისს, „გურჯისტანის ხანის“ ტიტულით.

1562-1584 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ IV ბარათაშვილი.

1565-1586 წწ. - მეფობა გიორგი II-ისა იმერეთში.

1567 წ. - ბრძოლა დიდომთან. სვიმონ I აძარცხებს დაუდ-ხანის ირანელებს. ირანელები თავს აფარებენ ტფილისს.

1568 წ. - ბრძოლა სამადლოსთან. სვიმონ I იხევ ხდლევს გათათრებულ ძმას. დაუდ-ხანი კვლავ შეასწრებს ტფილისს.

1568 წ. - ბრძოლა იანეთთან (ქვემო იმერეთი). იმერეთის მეფე

გიორგი II ამარცხებს განდგომილ ლევან I დადიანს და ჰკლავს.
გიორგი II ამარცხებს განდგომილ ლევან I დადიანს და ჰკლავს.

1569 წ. - ბრძოლა ფარცხისთან ყიზილბაშთა და ქართველთა შორის. სვიმონ I-ის გამარჯვება. კახაბერ ყორღანაშვილის დაღუპვა. სვიმონის ტყვეობა. ყორღანაშვილის დასჯა საჩინო ბარათაშვილის მიერ.

1569-1578 წწ. - სვიმონ I-ის ტყვეობა ირანში.

1574-1605 წწ. - მეფობა ალექსანდრე II-ისა კახეთში.

1578 წ. - ოსმალთა დიდი არმიების შემოსევა, ლალა ფაშას ხარბლობით. ტფილისის ოსმალთაგან დაჭერა.

1578 წ. - ტყვეობიდან დაბრუნება სვიმონ I-ისა და მისი ბრძოლების დასაწყისი ოსმალეთთან.

1578 წლის 9 აპრილი - დიდი ბრძოლა ჩილდირის ველზე, ოსმალთა და სპარსელთა შორის. სპარსელთა მხარეს იბრძვიან ქართველები. ოსმალები იმარჯვებენ და ტყვე ქართველებს ცეცხლზე წვავენ.

1578 წ. - სვიმონ I-მა ოსმალთაგან გაწმინდა ლორე და გორი.

1583 წ. - სვიმონ I ოსმალთაგან ათავისუფლებს ტფილისს.

1584 წ. - ალგეთზე, სოფელ ხატისსოფელთან, სვიმონ I 4000 ქართველით, ხერხიანი მანევრით, ანადგურებს 30000-ან ოსმალურ არმიას.

1584-1591 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ V.

1586-1590 წწ. - მეფობა ლევანისა იმერეთში.

1588 წ. - ბრძოლა გოფანთოსთან (იმერეთში), ქართლის მეფე სვიმონ I-ისა და იმერეთის მეფე ლევანს შორის. ლევანი მარცხდება და გარბის ლეჩხუმს. სვიმონი იმერეთს ქართლთან შეერთებულად აცხადებს, მაგრამ როგორც კი იგი ქართლს ბრუნდება, ლევანიც მაშინვე ლეჩხუმიდან ჩამოდის და ისევ იჭერს ქუთათისის ტახტს.

1589 წ. - კახეთის მეფე ალექსანდრე II რუსეთის მეფის,



თევდორე ივანეს ძისაგან ტეზულოს „წყალობის ხიჯელს“.

1590-1605 წწ. - მეფობა როსტომისა იმერეთში.

1590 წ. - ოვსკეთის (ქვემო იმერეთი) ბრძოლა. სვიმონ I მარცხდება და საბოლოოდ ხელს იღებს იმერეთის შემოერთების ფიქრზე.

1592-1599 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დორიოთეოზ III.

1599-1603 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი I.

1599 წ. - ოსმალთა უზარმაზარი მხედრობის შემოსევა, ჯავარ-ფაშას სარდლობით. ბრძოლა აღჯეთზე, ნახიდურთან. ქართველთა მარცხი და სვიმონ I-ის ტყვედ წაყვანა.

1600-1603 წწ. - სვიმონ I-ის ოსმალური ტყვეობა და აღსასრული.

1601-1606 წწ. - მეფობა გიორგი X-ისა ქართლში.

1601-1602 წწ. - მეფობა დავით I-ისა კახეთში.

1602-1605 წწ. - მეფობა (მეორედ) ალექსანდრე II-სა კახეთში.

1603-1610 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ზებუნე II.

1604 წ. - ირანის დიდი ხელმწიფის, შაჰ აბას I-ის მიწვევით, ქართლის მეფე გიორგი X და კახეთის მეფე ალექსანდრე II თავიანთი ჯარებით, ვითარცა „ძველთაგანი წესით მეწინავენი“, მონაწილეობენ ერევნის აღებაში და იქედან ოსმალთა განდევნაში.

1605-1639 წწ. - მეფობა გიორგი III-ისა იმერეთში.

1605 წლის 12 მარტი - ტრაგედია ძაგეშში (აღმ. კახეთში): სპარსეთში გაზრდილი კახელი უფლისწული კონსტანტინე-მირზა, სპარსთა დახმარებით, ჰკლავს მამას, ალექსანდრე II-ს და ძმას - გიორგის.

1605 წ. - მეფობა კონსტანტინე I-ისა (მირზა), მამა-ძმის მკვლელისა, კახეთში.

1605 წლის 22 თებერვალი - აჯანყებულ კახელები, ბელაქნის წყალზე გამართულ ბრძოლაში, კლავენ კონსტანტინე-მირზას.



1606-1614 **წწ.** - მეფობა ლუარსაბ II-ისა ქართლში.
 1606-1648 **წწ.** - მეფობა თეიმურაზ I-ისა კახეთში.

1609 **წ.** - გმირობა და მოწამებრივი სიკვდილი თეოდორე მღვდლისა.

1609 **წლის 27 თებერვალი** - ბრძოლა ტაშისკარს, ქართველები, გიორგი სააკაძის მეთაურობით, ანადგურებენ ოსმალთა და ყირიმელთა არმიას.

1609 **წ.** - გურიის მთავარი მამია II ლაშქრობს და ათავისუფლებს აჭარას ოსმალთა ბატონობისაგან. შაგრამ მალე ისევ იჭერენ აჭარას ოსმალნი.

1610-1613 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VI ავლიშვილი.

1612 **წ.** - შეთქმულება გიორგი სააკაძის წინააღმდეგ და მისი გაქცევა სპარსეთს.

1614 **წ.** - შაჰ აბასის პირველი შემოსევა. თეიმურაზ კახთა მეფე, შაჰის მოთხოვნაზე, მძევლებად აძლევს დედას - ქეთევან დედოფალს და შვილებს - ლევანს და ალექსანდრეს.

1614 **წლის 14 მარტი** - ბრძოლა ჟალეთთან. თეიმურაზ I-მა ალყა გაარღვია და ქართლს გადაასწრო.

1614 **წ.** - თეიმურაზ I კახთა მეფე და ლუარსაბ II ქართლის მეფე შაჰ აბასისგან გარბიან და თავს აფარებენ იმერეთის მეფე გიორგი III-ს.

1614 **წ.** - შაჰ აბასისგან კახეთის დარბევა, ძარცვა, სგრევა; კახეთის მოსახლეობა გადასახლება ირანს.

1615 **წ.** - შაჰ აბასის მოთხოვნაზე, ლუარსაბ II-ის დაბრუნება ქართლს და შაჰისგან მისი წაყვანა ირანს.

1615-1622 **წწ.** - ტყვეობა ლუარსაბ II-ისა, ასტრახადისა და გულაბეგალს ციხეებში.

1615-1619 **წწ.** - მეფობა მთავრატ VII-ისა (მავრატ-ხანი) ქართლში.

1615 **წლის 15 სექტემბერი** - კახელთა აჯანყება ალავერდის,

დავით ჯანდიერის მეთაურობით. ირანელთა ციხიონის
ლუტა. 

1615 წ. - შაჰ აბასის მეორე შემოსევა და კახეთის აკლესიების
გასახლება.

1616 წ. - შაჰ აბასის მესამე შემოსევა, კვლავ დარბევა და
გადასახლება კახეთისა.

1616-1622 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე I.

1617 წ. - შაჰ აბასის მეოთხე შემოსევა კახეთში, ახალი რბევა,
ივარქმნა, წარტყვევნა, გადასახლება.

1618 წ. - თეიმურაზ I თავს აფარებს თურქეთს; იქედან შემწეობას
თხოვს რუსეთის მეფეს, მიხეილ რომანოვს.

1619 წ. - შაჰ აბასის ბრძანებით, დაახოჯავებენ და დახოცავენ
ძმველად წაყვანილ შვილებს თეიმურაზ I-ისას.

1619-1630 წწ. - მეფობა სვიმონ II-ისა (სვიმონ-ჩანი) ქართლში.

1622 წ. - მოწამებრივი აღსასრული მეფე ლუარსაბ II-ისა.

1623 წ. - ბრძოლა კოჭორაულთან (იმერეთში). იმერეთის მეფე
გიორგი III მარცხდება ოდიშის, აფხაზეთისა და გურიის მთავრებთან
შეტაკებაში.

1623-1630 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ზაქარია ჯორჯაძე.

1623 წ. - სპარსელები და ქართველები (გიორგი სააკაძე) იღებენ
ყანდაპარს.

1623 წ. - სპარსელები და ქართველები (გიორგი სააკაძე) იღებენ
ბაღდადს.

1624 წლის 13 სექტემბერი - მოწამებრივი აღსასრული
ქეთევან დედოფლისა.

1624 წლის 25 პირტი - ბრძოლა მარტყოფის კელზე.
ამოწვევლა სპარსთა ჯარებისა. გმირობა გიორგი სააკაძისა.

1625 წ. - მოწამებრივი აღსასრული პაატა სააკაძისა.

1625 წლის 1 თებერვალი - ბრძოლა მარაბდის კელზე,
მსხვერპლით: 14000 ირანელი, 10000 ქართველი. გმირობანი გიორგი



სააკაძისა, თეიმურაზ I-ისა, ცხრა ძმა ხერხეულიძისა, ცხრა მანაჭიძისა და შვიდი ჩოლოყაშვილისა...

- 1625 წ. - ბრძოლა ქსანზე. ქართველთა (გიორგი სააკაძე) გამარჯვება. ირანელთა ამოწვევება.
- 1626 წ. - გიორგი სააკაძე სამხრეთ საქართველოში. მესხეთისა და ქვემო ქართლის გათავისუფლება.
- 1626 წ. - ბაზალეთის ომი - თეიმურაზ I-ისა და გიორგი სააკაძის „ბანაკთა“ შორის. სააკაძის „ბანაკის“ მარცხი.
- 1626-1629 წწ. - გიორგი სააკაძე ოსმალეთში.
- 1626 წ. - ნიკიფორე ირბახის ელჩობა ევროპაში.
- 1628 წ. - რომის პაპის, ურბნუს VIII-ის წერილები საქართველოს მეფე-მთავრებისადმი.
- 1629 წ. - ქართული სტამბის დაარსება რომში.
- 1629 წლის 3 ოქტომბერი - გიორგი სააკაძისა და მისი თანმხლები ქართველების (40-50 კაცი) დახოცვა ალექსოში.
- 1630 წ. - სვიმონ II-ის მკვლელობა სხვილოს ციხეში, ზურაბ ერისთავისაგან.
- 1630 წ. - ზურაბ ერისთავის მკვლელობა საფურცლეს, თეიმურაზ I-საგან.
- 1630-1637 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ევლემოზ I დიასამიძე.
- 1631 წ. - თეიმურაზ I-ის ღაშქრობა დაღესტანს.
- 1632 წ. - თეიმურაზ I და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი დავით უნდილაძე (დაუდ-ხანი), შეერთებული ძალებით, მდ. იორზე, ქვემოთ შაჰ სეფის ყიზილბაშურ ჯარს.
- 1632-1658 წწ. - მეფობა როსტომისა (როსტომ-ხანი) ქართლში.
- 1638-1660 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე II ამილახური.
- 1639-1660 წწ. - მეფობა ალექსანდრე III-ისა იმერეთში.
- 1648 წ. - ბრძოლა უღლისთან (თიანეთი), თეიმურაზ I-სა და



როსტომ მეფეს შორის, მრავალ მამულიშვილთა შორის, იღუპება თეიმურაზის ერთადერთი ძე, დავით (დათუნა) ბატონიშვილი და მამარცხებული თეიმურაზი მიდის იმერეთს.

1649 წ. - თეიმურაზ I და ალექსანდრე III იმერთა მეფე რუსეთში დახმარების თხოვნით აგზავნიან ელჩობას (ივანე გრიგოლაშვილი, არქიმანდრიტი პაჩომი, მღვდელი დავითი და ბერი ვახილი).

1649 წ. - რუსი ელჩების, ტოლოჩანოვისა და იველიევის ჩამოსვლა იმერეთში.

1651 წ. - იმერეთის მეფე ალექსანდრე III ხელს აწერს რუსეთის „ერთგულების ფიცს“.

1652 წ. - მოსკოვს, მეფე ალექსი რომანოვის კარი „აღსაზრდელად“ ღებულობს თეიმურაზ I-ის შვილიშვილს, ნიკოლოზ, ანუ ერეკლე დავითის ძე ბატონიშვილს.

1658 წ. - თეიმურაზ I-ის წვევა მოსკოვს.

1658 წ. - იმერეთის მეფე ალექსანდრე III ამარცხებს ღიპარიტ დადიანს და მის ნაცვლად ოდიშის ტახტზე სვამს გამეფ დადიანს.

1658 წ. - გარდაცვალება როსტომ მეფისა და დაკრძალვა მისი ირანში, ყუმს, შაჰ აბასის ახლოს.

1658-1675 წწ. - მეფობა ვახტანგ V შაჰნავაზისა ქართლში.

1659 წ. - აჯანყება ბახტრიონს. გამირობა ბიძინა ჩოლოყაშვილისა, შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა. მათი მოწამებრივი აღსასრული ირანში.

1660-1661 წწ. - მეფობა ბაგრატ IV-ისა იმერეთში.

1660-1676 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი II მუხრან-ბატონი.

1661 წ. - „მეფობა“ ვახტანგ ჭუჭუნაშვილისა იმერეთში.

1661-1663 წწ. - მეფობა არჩილ II-ისა იმერეთში.

1661 წ. - შეხვედრა თეიმურაზ I-ისა და ვახტანგ V-ისა იმერეთში.

1661 წ. – თეიმურაზ I-ის გამგზავრება ირანს. შეხვედრება ირანის
აბას II-სთან.

1663 წ. – გარდაცვალება თეიმურაზ I-ისა ასტრახადის ციხეში.
გადმოსვენება კახეთში, ალავერდს.

1663-1665 წწ. – მეფობა ბაგრატ IV-ისა (მეორედ) იმერეთში.

1664-1676 წწ. – მეფობა არჩილ II-ისა კახეთში.

1665 წ. – „მეფობა“ ვახტანგ ჭუჭუნაშვილისა (მეორედ) იმერეთში.

1665 წ. – მეფობა დემეტრე გურიელისა იმერეთში.

1666-1678 წწ. – მეფობა ბაგრატ IV-ისა (მესამედ) იმერეთში.

1669 წ. – ბრძოლა ჩხართან. ბაგრატ IV ამარცხებს ლევან III
დადიანს და სეხნია ჩხეიძეს.

1674 წ. – ერეკლე (ნიკოლოზ) ბატონიშვილის ჩამოსვლა
მოსკოვიდან სპარსეთს (კახეთს გამოვლით).

1676-1688 წწ. – მეფობა გიორგი XI-ისა ქართლში.

1678-1688 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ VI
ამილახორი.

1678-1679 წწ. – მეფობა არჩილ II-ისა (მეორედ) იმერეთში.

1679-1681 წწ. – მეფობა ბაგრატ IV-ისა (მეოთხედ) იმერეთში.

1681-1683 წწ. – მეფობა გიორგი III გურიელისა იმერეთში.

1682-1689 წწ. – არჩილ II-ის პირველი ყოფნა რუსეთში.

1683-1690 წწ. – მეფობა ალექსანდრე IV-ისა იმერეთში.

1684 წ. – ბრძოლა როკითთან (იმერეთში). ალექსანდრე IV
ამარცხებს და ჰხოცავს თავის მომტყველებს – გიორგი გურიელს,
შოშიტა ურისთავს და პაატა აბაშიძეს.

1688-1703 წ. – მეფობა ერეკლე I ნაზარალიხანისა ქართლში.

1688-1691 წწ. – კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VII დაახაშიძე.

1690-1691 წწ. – მეფობა არჩილ II-ისა (მესამედ) იმერეთში.

1691 წ. – ბრძოლა სოფ. გოდოგანთან. არჩილ II ამარცხებს
ალექსანდრე IV-ს.



1691-1696 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ VI ამილახვარი (მეორედ).

1691-1695 წწ. — მეფობა ალექსანდრე IV-ისა (მეორედ) იმერეთში.

1694 წ. — ალექსანდრე IV-მ ილაშქრა ქართლს, აიღო და გამარცხა ალი.

1695 წ. — აჯანყებულმა თავადებმა ალექსანდრე IV შეიპყრეს და მიჰკვარეს ქართლის მეფე გიორგი XI-ს, რუსიში. გიორგიმ ალექსანდრე იქვე დაახრჩობინა და დააფლოდინა.

1695-1696 წწ. — მეფობა არჩილ II-ისა (მეოთხედ) იმერეთში.

1696-1697 წწ. — მეფობა გიორგი IV ვაჩიასი იმერეთში.

1696-1700 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი იოანე VII დიასამიძე (მეორედ).

1698 წ. — მეფობა არჩილ II-ისა (მეხუთედ) იმერეთში.

1698-1701 წწ. — მეფობა სვიმონისა იმერეთს.

1699-1713 წწ. — არჩილ II-ის ყოფნა და მოღვაწეობა რუსეთში.

1701-1705 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი უდეძოზ II დიასამიძე.

1701 წ. — მეფობა შამია III გურიელისა იმერეთში.

1701-1703 წწ. — მეფობა გიორგი V აბაშიძისა იმერეთში.

1703 წ. — ოსმალთა შემოსევა იმერეთს.

1703-1711 წწ. — მეფობა გიორგი VI-ისა იმერეთში.

1703 წ. — არჩილი აარსებს ქართულ სტამბას მოსკოვში.

1703-1709 წწ. — მეფობა გიორგი XI-ისა (მეორედ) ქართლში.

1703-1709 წწ. — მეფობა ერეკლე ნაზარალიხანისა კახეთში.

1703-1711 წწ. — ჯანიშინობა ვახტანგ VI-ისა ქართლში.

1704 წ. — გიორგი XI იპყრობს ავღანისტანს (ირანისთვის).

1704-1709 წწ. — გიორგი XI-ის მმართველობა სპარსეთსა და ავღანისტანს.

1705-1725 წწ. — კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი III.



1722 წ. - პეტრე I-ის ხაშრეთული ღაშქრობის მანიფესტი მისი ამარაობა საქართველოსთვის.

1723-1724 წწ. - ოსმალთა და ლეკთა შემოსევები ქართლში.

1723 წ. - კონსტანტინე II მაჰმად-ყული-ხანი კახთა ჯარით ღაშქრობს ქართლზე, აიღო მცხეთა და დაესხა ტფილისს. ამოდ ებრძვიან ვახტანგ VI და ბაქარ ვახტანგის ძე. კონსტანტინე მოუხმობს ლეკებს. ტფილისს იღებენ, მარცვავენ, ხიონის ტაძარს წვავენ. ოსმალებიც მოუხწრებენ და ეუფლებიან საქართველოს სატახტოს.

1724 წლის 03 სექტემბერი - ვახტანგ VI ტოვებს ("აგდებს") საქართველოს და, რჩეული ქართველობით, მიემხრება რუსეთს.

1724 წ. - ბრძოლა გუფთახთან, ქართველებსა და ოსმალებს შორის. პირველად იმარჯვებენ ქართველნი. ბოლოს კი მოვალატე ქართველები ამარჯვებინებენ ოსმალებს.

1725 წლის 26 თებერვალი - ხელხან-საბა ორბელიანის გარდაცვალება და დაკრძალვა მოსკოვს.

1725-1737 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონ ორბელიანი.

1731 წ. - კონსტანტინე კახთა მეფისა და ისაყ ოსმალთ ფაშას ერთობლივი შემოსევა და ქართლის დარბევა.

1733 წ. - სამეგრელოში ოსმალთა შემოსევა და მარცვა-რბევა.

1733-1743 წწ. - მეფობა თეიმურაზ II-ისა კახეთში.

1735 წ. - ნეშნის ბრძოლა. ქართველთაგან ლეკთა განადგურება. 15 წლის ერეკლე ბატონიშვილის პირველი საბრძოლო ნათლობა.

1737-1739 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი კირილე.

1737 წლის 26 მარტი - ვახტანგ VI-ის გარდაცვალება და დაკრძალვა ასტრახანს.

1737 წ. - თეიმურაზ II, კახთა ჯარით, ნადირ შაჰის მიწვევით, მონაწილეობას ღებულობს ყანდაჰარის აღებაში.

1738 წ. - ერეკლე ბატონიშვილი ნადირ შაჰს მიჰყავს ინდოეთს ღაშქრობაში.



1738-1740 **წწ.** - შანშე ქსნის ერისთავის აჯანყება.

1739-1741 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი დომენტი III (შელოდ, ოსმალთ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ).

1741-1744 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი ნიკოლოზ VII ხერხეულიძე.

1742-1744 **წწ.** - გივი ამილახორის აჯანყება.

1743 **წ.** - საგურამოსთან, არაგვზე, ერეკლე ბატონიშვილი ანადგურებს ოსმალთა და ლეკთა ჯარებს, მათ ბელადებს (ჩიზინ-ბეგი და მალაჩი) თავისი ხელით ჩოცავს.

1744 **წ.** - ქრისტიანული წესით და ქრისტიანობის რჯულშეუცვლელად შეფუებად ეკურთხებიან: ქართლში თეიმურაზ II და კახეთში მისი ძე ერეკლე II.

1744-1755 **წწ.** - კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი.

1747 **წ.** - ერეკლე ანადგურებს აბდულ-ბეგს.

1749 **წ.** - თეიმურაზი და ერეკლე ანადგურებენ სომხეთში შემოჭრილ მაჰმად-ხანს.

1750 **წ.** - თეიმურაზი და ერეკლე ანადგურებენ ფანა-ხანს.

1750 **წ.** - დანდისთან, ალაზანზე, ერეკლე ანადგურებს ლეკთა ჯარს.

1751 **წლის 15 თებერვალი** - აგრი-ჩაისთან გამართულ ბრძოლაში, შაქის ხანი ჰაჯი-ჩალაბი ამარცხებს თეიმურაზისა და ერეკლეს ჯარს.

1751 **წლის 27 ივლისი** - ყირბულახთან (ერევნის ახლოს), ერეკლე ხერხიანი მანევრით, ანადგურებს აზატ-ხანს.

1752 **წლის 1 სექტემბერი** - თულქითაფასთან, ერეკლე და თეიმურაზი ანადგურებენ ალა-ქიშს, ჰაჯი-ჩალაბის ძეს.

1752-1784 **წწ.** - მეფობა სოლომონ I დიდისა იმერეთში.

1754 **წ.** - სოლომონ I, სიკვდილის სასჯელით, კრძალავს ტყვეთა სყიდვას.

1754 წლის 16 აპრილი - სოფ. მჭადიჯვართან, ერეკლე ანადგურებს ნურსალ-ბეგს და მის ლეკურ მხედრობას.

1755 წ. - ერეკლე კიდევ ერთხელ ანადგურებს ნურსალ-ბეგს, ყვარულთან.

1755-1764 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი იოსებ ჯანდიერი.

1756 წ. - ერეკლე და თეიმურაზი ლეკებს ანადგურებენ ნიჩბისთან, კარაღეთთან, სკრასთან.

1757 წლის 14 დეკემბერი - სოლომონ I თურქებს ანადგურებს ზრესილთან გამართულ დიდ ბრძოლაში.

1758 წ. - გორში, კაკშირი „დიდი სამეუღლისა“ - სოლომონ I, თეიმურაზ II, ერეკლე II.

1758 წ. - იმერეთის სრულიად დახსნა ოსმალეთის ქვეშევრდომობისგან, სოლომონ I-ის ღვაწლმოსილებით.

1858 წ. - ერეკლე, თეიმურაზი და სოლომონი ანადგურებენ ლეკთა ჯარებს, რომელთაც ბელადობენ ჩინჩილ-მუსა და კოხტა-მალაჩილა.

1759 წლის 4 დეკემბერი - სოლომონ I ქუთათისში იწვევს საეკლესიო კრებას. ქუთათელად აკურთხებენ მაქსიმე აბაშიძეს. იკრძალება საეკლესიო ყმა-მამულთა ხელყოფა საერო ფეოდალთაგან. გადააყენეს უნიჭო და უზნეო სამღვდელონი. მეორე დღეს, 5 დეკემბერს, სხდომაზე საგანგებო ფიცს დებენ „ტყვის სყიდვის“ საბოლოოდ აღკვეთაზე.

1760 წ. - თეიმურაზ II-ის გამგზავრება რუსეთს.

1760 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს ყარაიას.

1760 წ. - ოსმალური ჯარების შემოსევა იმერეთს, სერასქერ მოლა-აბდულას მეთაურობით. სოლომონის გამარჯვება და მტრის განდევნა.

1761 წ. - ისევ შემოსევა ოსმალებისა, ისევ გამარჯვება იმერლებისა.



- 1761 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს, სუჰუდუნიანს ანადგურებს.
- 1762 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს, ახმეტას.
- 1762 წ. - გარდაცვალება თეიმურაზ II-ისა რუსეთში. დაკრძალვა ასტრახანს.
- 1762 წ. - ერთხელმწიფობა ერეკლე II-ისა ქართლ-კახეთს.
- 1763 წ. - კვლავ შემოსევა ოსმალებისა იმერეთს. კვლავ გამარჯვება იმერეთა, მათი დიდი მეფის, სოლომონ I-ის წინამძღოლობით.
- 1763 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს გეხვთან.
- 1764 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს მრავალწვაროს.
- 1764-1788 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I დიდი (მეორედ).
- 1765 წ. - პაატა ბატონიშვილის შეთქმულება ერეკლეს წინააღმდეგ.
- 1765 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს სამგორს.
- 1765-1766 წწ. - ახი ათახიანი ოსმალური ურდოს შემოჭრა გურია-იმერეთში, ჰასან ფაშა ჯაფელის ხარდლობით. მტრის წარმატებანი ქართველთა შინაღალატის წყალობით. სოლომონ I, პარტიზანული ომის ტაქტიკით, ოსმალებს აიძულებს ხელცარიელი გაბრუნდნენ უკან.
- 1767 წ. - ერეკლე ლეკებს ანადგურებს იორზე.
- 1767 წ. - ზავის დადება სტამბულს, იმერეთსა და ოსმალეთს შორის.
- 1769 წ. - როსტომ რაჭის ერისთავისა და მისი ოჯახის დახჯა, დალატისათვის, სოლომონ I-ის მიერ.
- 1769 წლის 21 მაისი - რუსეთის, ქართლ-კახეთის და იმერეთის შეთანხმება.
- 1769 წ. - რუსის ჯარის ჩამოსვლა ვენ. ტოტლებენის ხარდლობით.
- 1770 წლის 18 აპრილი - ბრძოლა აწყურთან. ტოტლებენის დალატი.
- 1770 წლის 20 აპრილი - ახპინძის ბრძოლა. ერეკლე 3000

ქართველით სპობს 8000-ან ოსმალურ-ლეკურ ჯარს და თავისი ხელით კლავს მტრის ბელადს კონსტანტინე-მალაჩილას.

1770 წლის იანვარი – ოსმალთა ახალი შემოსევა იმერეთს. სოლომონის კვლავ გამარჯვება და მტრის უკუქცევა.

1771 წ. – სოლომონ I ოსმალთა ჯარს ანადგურებს მალთაყვასთნ.

1771 წ. – ტოტლებენის გაწვევა რუსეთში და მის მაგივრად გენ. ხუხოტინის ჩამოსვლა საქართველოში.

1772 წ. – ხუხოტინის უკანვე, რუსეთში გაწვევა, საქართველოში უსარგებლოდ მისი ყოფნის შემდეგ.

1774 წლის 6 თებერვალი – სოლომონ I ჩხერიმელას ხეობაში ანადგურებს ლეკთა და ოსმალთა ჯარებს.

1778 წ. – ერეკლე ანადგურებს ყუბის ბატონს, ფათალი-ხანს.

1779 წ. – ერეკლე ანადგურებს ერევნის ხანს, ჰუსეინ-ყულის.

1779 წ. – რუხის ციხესთან, სოლომონ I სასტიკად ამარცხებს სამეგრელოში შემოჭრილ დიდძალ თურქობას.

1781 წ. – ლეკან ერეკლეს ძე ბატონიშვილის სიკვდილი.

1781 წლის ივლისი – სოლომონ I-ის ლაშქრობა და ამით ცდა აჭარის გათავისუფლებისა.

1783 წლის 24 ივლისი – გეორგიევსკის „ტრაქტატის“ გაფორმება რუსეთსა და ქართლ-კახეთს შორის.

1784 წლის 22 იანვარი – „ტრაქტატს“ ხელს აწერენ – ეკატერინე II და ერეკლე II.

1784 წლის მარტის პირველი დღეები – სოლომონ I იმერთა და გურულთა ჯარით, ოსმალებს მიერეკება ქობულეთიდან, ციხისძირიდან და ჩაქვიდან.

1784 წლის 9 მარტი. – სოფელ ნაჭიშკრევთან, საფარში მოქცეული სოლომონ მეფე მარცხდება.

1784 წლის 23 აპრილი – მოულოდნელი და უცებისი სიკვდილი სოლომონ I დიდისა, ქუთათისს.

1784-1789 წწ. – მეფობა დავით II-ისა იმერეთს.



1784 წ. - ქართველთა და რუსთა ლაშქრობა ჭარბოლა მუღანლოსთან. ლეკების განადგურება.

1787 წ. - ქართველთა (ერეკლე II) და რუსთა (გენ. ბურნაშვი) ლაშქრობა განჯას და მისი ხელახალი დამორჩილება.

1788-1811 წწ. - კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II.

1789 წ. - ერეკლეს შვილიშვილი, დავით გიორგის ძე, ანადგურებს ახალციხიდან ქართლში სათარეშოდ შემოჭრილ ლეკთა ჯარს.

1789 წლის 11 ივლისი - სოფ. მათხოჯთან (ქუთათისის ახლოს), ერთმანეთს საომრად ხედებიან იმერეთის ტახტის მოცილეუნი - დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე. დამარცხდა და ახალციხეს გაიქცა დავით გიორგის ძე, ხოლო გამარჯვებული დავით არჩილის ძე ჯდება იმერეთის ტახტზე, სოლომონ II-ის სახელით.

1789-1810 წწ. - მეფობა სოლომონ II-ისა იმერეთში.

1789 წლის ოქტომბერი - ერეკლეს შვილიშვილი, დავით გიორგის ძე, ყარსთან, ანადგურებს ლეკებს და მათ ბელადსაც, იმიყბეგს, საკუთარი ხელით კლავს.

1790 წ. - ერეკლეს შვილიშვილი, დავით გიორგის ძე, პანკისის ხეობაში ანადგურებს იქ მოთარეშე ლეკებს.

1790 წლის 25 ივლისი - იმერთა ელჩობა ტფილისის სასახლეში ერეკლე II-ს სთხოვს იმერეთის შეერთებას ქართლ-კახეთთან. ერეკლეს უარი.

1790 წ. - იმერეთის ყოფილი მეფე დავით II (გიორგის ძე) ახალციხიდან გადმოყვანილი ოსმალთა და ლეკთა ჯარით ცდის ბედს ქუთათისის ტახტის დასაბრუნებლად. ლოსიათხევს გამართულ ბრძოლაში, სოლომონ II-მ შეტოქე გაანადგურა.

1795 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა. კრწანისის ბრძოლები; 8, 9, 10 სექტემბერს ქართველთა გამარჯვებანი; 11 სექტემბერს კვლავ შინა („ტფილისური“) დაღაღის წყალობით, ქართველთა მარცხი. მსხვერპლი: 15000 ირანელი, 3000 ქართველი (ამათ შორის 300 არაგველი). ტფილისის დაცემა.



1795 წლის 12-22 სექტემბერი - ალა-მაჰმად-ხანის ტფილისში. ქალაქის აკლესია-აოხრება-წარტყვევნა. ათი დღის თავზე ალა-მაჰმად-ხანის წასვლა ტფილისიდან.

1796 წ. - ქართველები ხელახლა იმერობენ ალა-მაჰმად-ხანზე მიმხრობილ განჯას.

1798 წლის 11 თანვარი - გარდაცვალება მეფე ერეკლე II-ისა.

1798-1800 წწ. - მეფობა გიორგი XII-ისა ქართლ-კახეთს.

1899 წ. - ტფილისში შემოდის რუსული ჯარი, გენ. ლახარევის ხარდლობით.

1800 წ. - ახალი რუსული ლეგიონის შემოსვლა, გენ. გულიაკოვის ხარდლობით.

1800 წლის 7 ნოემბერი - ბრძოლა ნიახურას ველზე, სოფ. კაკაბეთთან. ქართველები და რუსები ანადგურებენ ლეკთა მხედრობას (18000 ლეკი) და მათ წინამძღოლთ - ომარ-ხანს და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილს.

1800 წლის 22 დეკემბერი - რუსეთის იმპერატორი პავლე I ხარვეზლობს მეფე გიორგი XII-ის ავადმყოფობით და ხელს აწერს იმპერიასთან ქართლ-კახეთის „შეერთების“ (დაპყრობის) მანიფესტს.

1800 წლის 28 დეკემბერი - გარდაცვალება მეფე გიორგი XII-ისა.

1800-1801 წწ. - „განმგებლობა“ დავით XII-ისა.

1801 წლის 12 სექტემბერი - რუსეთის ახალი იმპერატორი ალექსანდრე I ხელს აწერს რუსეთის იმპერიასთან ქართლ-კახეთის „შეერთების“ (დაპყრობის) მანიფესტს.

1802 წლის 12 აპრილი - გენერალი კნორინგი, ჯარით გარემორტყმულ სიონის ტაძარში საგანგებოდ მოწვეულ ხალხს, ხელმოწერიდან შვიდი თვის დაგვიანებით უკითხავს „შეერთების მანიფესტს“ და იქვე, ტაძარში მოქცეულებს (ფაქტიურად - „დაჭერილებს“) ძალით ალებინებს ფიცს მოსმენილი „მანიფესტის“ ერთგულებაზე.



1802 წლის 8 მაისი – ტფილისში, „ყოფილი საქართველოს“ ყოფილ დედაქალაქში“, საზეიმოდ იხსნება და დგინდება რუსული „მმართველობა“, სათავეში – „მთავარმართველი“ და მისი თანაშემწე სამხედრო გუბერნატორი. პირველი მთავარმართველი – გენერალი კნორინგი.

1802 წლის 03ლისი – სოფ. ქვლემენურში, კახელი თავადების შეთქმულება რუსული მმართველობის წინააღმდეგ. განიზრახავენ სამეფო ტახტის აღდგენას და იულონ ბატონიშვილის გამეფებას. შეთქმულების ჩაშლა შინაგამცემლობის წყალობით.

1802 წლის 8 სექტემბერი – მთავარმართველად დიმიტრი ციციანოვის (ციციშვილი) დანიშვნა.

1803 წლის 9 მარტი – რუსთა და ქართველთა ჯარმა დალაშქრა და დახარკა ჭარ-ბელაქანი.

1803 წლის 19 აპრილი – გიორგი XII-ის ქვრივი, დედოფალი მარიამი, უხეში მოპყრობისათვის, ხანჯლით კლავს გენერალ ლახარევს.

1804 წლის 3 იანვარი – ციციანოვი რუსთა და ქართველთა ჯარით იღებს განჯას.

1804 წლის 20 აპრილი – სოლომონ II და მთავარმართველი ციციანოვი, ელაზნაურში (ხარაგაულის რ.), ხელს აწერენ „ტრაქტატს“, რომლითაც იმერეთი შედის რუსეთის ქვეშევრდომობაში.

1804 წლის ნოემბერი – რუსები მდინარე ხობის შესართავში, ყულევს, აგებენ დიდ სამხედრო ბანაკს.

1804 წლის 30 ივნისი – ბრძოლა მდინარე ზანგაზე (სომხეთში). ციციანოვი რუსთა და ქართველთა ჯარით ამარცხებს სპრახეთის საომარ ძალებს.

1804 წ. – მთიულეთის აჯანყება რუსული მმართველობის წინააღმდეგ.

1806 წლის 8 თებერვალი – ციციანოვის დაღუპვა, ბაქოს კარებთან, მოლაპარაკებისას, მზაკვრული ტყვიით.



1806 წლის 2 ივნისი – მთავარმართებლად გულდოვინის დანიშვნა.

1806 წლის 8 ნოემბერი – დიმიტრი ორბელიანის ლაშქრობა ჭარში.

1806 წლის 17 ივლისი – ბრძოლა გუმბრთან (სომხეთში). რუსები და ქართველები ამარცხებენ აბას-მირზას ირანულ არმიას.

1809 წლის 5 მარტი – მთავარმართებლად ტორმასოვის დანიშვნა.

1809 წლის ნოემბერი – ბრძოლა სოფელ გრიგოლეთთან. დიმიტრი ორბელიანი ამარცხებს თურქებს და ლეზღელებს ფოთის კლიტეებს.

1810 წლის 20 თებერვალი – ქუთათისში ცხადდება რუსული მმართველობა. მეფე სოლომონ II მოტყუებით მიჰყავთ ტფილისს.

1810 წლის 10 მაისი – სოლომონ II-ის გაპარვა ტფილისიდან და გაქცევა ახალციხეს.

1810 წლის 17 მაისი – სოლომონ II ახალციხიდან იმერეთს აგზავნის მოწოდებებს, მალე თვითონაც გადადის და თვითვე უდგება სათავეში აჯანყებულ იმერეთს.

1810 წ. – ჯერ წარმატებული იმერეთის აჯანყებისა. მალე მარცხი და სოლომონ II-ის გაქცევა, ჯერ ახალციხეს, მერე ტრაპიზონს.

1810 წ. – იმერეთის სამეფო უქმდება და უბრალოდ „ოლქი“ ერქმევა.

1810 წ. – რუსულ მმართველობაში ექცვიან გურიის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სამთავროებიც.

1811 წ. – რუსული საიმპერიო ხელისუფლება აუქმებს საქართველოს ეკლესიის მრავალსაუკუნოვან ავტოკეფალიას და უმორჩილებს მას რუსეთის უმაღლეს სინოდს. კათალიკოსი ანტონ II ნიჟნინოვგოროდს გადაასახლეს. ამიერიდან ქართულ ეკლესიას განაგებენ რუსი ეპისკოპოსები.



1811 წლის 7 დეკემბერი - ქართველთა და რუსთა ჯარში
თურქ-ოსმალოებს გამოსტაცეს ქალაქი ახალქალაქი.

1811 წლის დეკემბერი - მთავარმართებლად ინიშნება
პაულაძე.

1812 წ. - აჯანყება კახეთში და ფშავ-ხევსურეთში რუსული
მმართველობის წინააღმდეგ.

1812 წლის აპრილი - მთავარმართებლად რტიშხევის
დანიშნა.

1812 წლის 16 მაისი - ბუქარესტის ზავი (რუსეთ-თურქეთის
ომის შემდეგ) და ფოთისა და ახალქალაქის ისევ დაბრუნება ოსმალეთის
მფლობელობაში.

1812 წ. - სამამულო ომი რუსეთში და მასში ქართველთა
მონაწილეობა.

1812 წლის დეკემბერი - რუსები და ქართველები,
ასლანდუშთან და ლენქორანთან ხასტიკად ამარცხებენ ირანელთა
არმიებს.

1813 წლის ოქტომბერი - გულისტანის ზავი (რუსეთ-
სპარსეთის ომის შემდეგ), - სპარსეთმა საქართველო რუსეთის
საკუთრებად ხცნო.

1815 წლის 7 თებერვალი - სიკვდილი მეფე სოლომონ II-ისა,
ტრაპიზონს; იქვე დაკრძალვა საქართველოს უკანასკნელი
გვირგვინოსნისა.

1816 წ. - მთავარმართებლად ერმოლოვის დანიშნა.

1819-1820 წწ. - იმერეთის აჯანყება რუსული მმართველობის
წინააღმდეგ.

1826 წლის 2 სექტემბერი - რუსები და ქართველები,
შამქორთან, ანადგურებენ ირანელთა არმიას, რომლის ერთ-ერთი
მეთაურია ალექსანდრე ბატონიშვილი. რუსები ქართველს ქართველებს
მოუსყენ და ალექსანდრე ბატონიშვილიც ძლივს გაასწრებს სიკვდილს.



1826 წლის 13 სექტემბერი - ბრძოლა განჯასთან რუსეთის მიერ. მძარცვნილი ქართველები მიუშვეს, ბრწყინვალედ გაიმარჯვეს, განჯაც ხელთ იგდეს, სრულიად აზერბაიჯანიც.

1827 წ. - მთავარმართებლად ინიშნება პასკევიჩი.

1827 წლის 1 ოქტომბერი - იერიში ერევანზე, მეწინავედ 600 ქართველი, რომან ბაგრატიონის (პეტრეს ძმა) მეთაურობით. ერევნის აღება.

1827 წლის 1 ნოემბერი - უეცარი დარტყმით ქართველები, გენერალ გიორგი ერისთავის ხარდლობით, იღებენ თავრიზს და მდარტყვენ პასკევიჩს (ამ ოპერაციისათვის გიორგი ერისთავს იმპერატორი დააჯილდოვებს ალექსანდრე ნეველის ორდენით).

1828 წ. - ნახიჭევანისა და ერევნის ყოფილი სახანოებისგან იქმნება ხომხეთის ოლქი, რომლის გამგებლად ინიშნება ალექსანდრე ჭავჭავაძე.

1829 წლის 5 მარტი - ღიმანთან (ქობულეთის ახლოს) რუსთა და ქართველთა ერთიანი მხედრობა ბრწყინვალედ იმარჯვებს ოსმალთა არმიასზე.

1829 წლის 23 ოქტომბერი - რუსები და ქართველები ეუფლებიან ვარსს.

1829 წლის 27 ოქტომბერი - ქართველები და რუსები, თვითონ პასკევიჩის ხარდლობით, ეუფლებიან არზრუმს, რასაც მოჰყვება ზედიზედ აღება ბაიბურთისა, გიუმიშხანისა და გახვლა ტრაპიზონის გზაზე.

1829 წლის 15 ივლისი - ოსმალთაგან ფოთის ხელახალი გათავისუფლება.

1829 წლის 24 ივლისი - ახალქალაქის ხელახალი გათავისუფლება.

1829 წლის 6 აპრილი - ბრძოლა გურიაში, სოფელ



მუხრანსტატესთან, სადაც ქართველები და რუსები სპობენ ოსმალებთან
დიდძალ მხედრობას.

1829 წლის 16 აგვისტო - ალექსანდრე ჭავჭავაძე უფულება
ბაიაზეთს.

1829 წლის 14 სექტემბერი - ადრიანოპოლის ზავი (რუსეთ-
თურქეთის ომის შემდგომ): საქართველოს უბრუნდება ფოთი,
ახალციხე, ახალქალაქი.

1830 წ. - მთავარმართებლად ინიშნება როზენი.

1832 წ. - შეთქმულება რუსული მმართველობის დამხობისა და
საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

1841 წ. - მეფისნაცვლად (პირველად, „მთავარმართებლის“
მაგიერად) მიხეილ ვორონცოვის დანიშვნა.

1853-1856 წწ. - ყირიმის ომი და მასში ქართველთა
ონაწილეობა.

1853 წლის 15 ოქტომბერი - ბრძოლა სოფ. შკვეთილთან.
ქართველები და რუსები მარცხდებიან. მეთაურიც, - გიორგი გურიელი
- ბრძოლაში იღუპება.

1853 წლის სექტემბერი - ბრძოლა საინგილოში, -
გრიგოლ ორბელიანი ამარცხებს შამილს.

1853 წლის 2 ნოემბერი - ბრძოლა ბაინდურთან. ილია
ორბელიანი (გრიგოლის ძმა) ამარცხებს ოსმალთა კორპუსს.

1853 წლის 16 ნოემბერი - ბრძოლა ახალციხესთან.
ბრწყინვალე გამარჯვება და გმირობა გენერალ ივანე
ანდრონიკაშვილისა.

1853 წლის 19 ნოემბერი - ბრძოლა ბაშკადიკლართან
(ყარსის ახლოს). რუსები და ქართველები კვლავ ამარცხებენ ოსმალებს.
აქ თავს ისახელებენ: ივანე ჭავჭავაძე, ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი
და ილია ორბელიანი.

1854 წ. - მეფისნაცვლად ინიშნება მურავიოვი.



1854 წლის 20 მაისი - ბრძოლა სოფელ ნიკოლოზის ქართველები, ნიკოლოზ ერისთავის მეთაურობით, სასტიკად ამარცხებენ ოსმალთა ჯარს, რომელსაც მეთაურობს მოღალატე ჰასან-ბეი თავდგირიძე. ამ უკანასკნელს საკუთარი ხელით თავი გააგდებინა ერასტი ჭყონიამ.

1854 წლის 4 ოქტომბერი - დიდი ბრძოლა მდინარე ჩოლოქზე. 10000 ქართველი და რუსი ანადგურებს 35000-ან ოსმალურ არმიას.

1854 წლის 03 დეკემბერი - შამილის შემოჭრა და თარეში კახეთში. დავით ჭავჭავაძის ოჯახის ტყვედ გატაცება.

1854 წლის 17 ოქტომბერი - რუსები და ქართველები ხელახლა დებულობენ ბაიახეთს.

1854 წლის 24 ოქტომბერი - სოფელ კიურკ-დართან გამართულ ბრძოლაში, გენერალი ბებუთოვი ამარცხებს ოსმალთა ჯარს.

1854 წლის 14 ნოემბერი - რუსებმა და ქართველებმა ხელახლა აიღეს ყარსი.

XIX სსშპ. 60-70-სწავლის წლები - „სამოციანელობა“ და „თერგდალეულობა“, - ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დასაწყისი საქართველოში.

1862 წ. - თავად-აზნაურთა ყრილობა; საგლეხო რეფორმის პროექტის შესამუშავებლად.

1864 წ. - ბატონყმობის გაუქმება ტფილისის გუბერნიაში.

1865 წ. - ბატონყმობის გაუქმება ქუთაისის გუბერნიაში.

1867 წ. - ბატონყმობის გაუქმება სამეგრელოში.

1870 წ. - ბატონყმობის გაუქმება აფხაზეთში.

1871 წ. - ბატონყმობის გაუქმება სვანეთში.

1877-1878 წწ. - რუსეთ-თურქეთის ახალი ომი და მასში ქართველთა მონაწილეობა.

1877 წლის 20 აპრილი - ისევ ბაიახეთის აღება.

1877 წლის 17 მაისი - არტაანის აღება.



1877 წლის 13 იანვარი - ბრძოლა სოფელ ოქციანში ქართველები ამარცხებენ ოსმალთა ჯარებს.

1877 წლის 25 იანვარი - ზვინთან (ყარსის მიმართულებით) გამართულ ბრძოლაში, ოსმალები ამარცხებენ რუსებს.

1877 წლის 1 აპრილი - ქართველებმა, ოჩამჩირესთან, დაამარცხეს ოსმალნი და დააგდებინეს ეს ქალაქიც.

1877 წლის 2 მაისი - ქართველები ოსმალთაგან ათავისუფლებენ სოხუმს.

1877 წლის 10 ივნისი - ყარსის მიმართულებით, ალაჯის მთებთან გამართულ მძიმე ბრძოლაში, რუსებმა და ქართველებმა ძლიერ გაიმარჯვეს.

1877 წლის 18 ივნისი - გენერალი იაკობ ალხაიშვილი, ქუთაისის ქვეითი ათასეულით, პირველი შეიჭრება ყარსში. დანარჩენებიც მიჰყვებიან - ქართველნი, რუსნი, სომეხნი - და ერთხელ კიდევ დაეუფლებიან ამ უმნიშვნელოვანეს კავკასიურ ციხექალაქს.

1877 წლის 14 დეკემბერი - ხერთვისის გათავისუფლება ოსმალთაგან.

1877 წლის 16 დეკემბერი - არტანუჯის გათავისუფლება ოსმალთაგან.

1878 წლის 5 აპრილი - ბათუმისა და აჭარის გათავისუფლება ოსმალთაგან.

1878 წ. - გლეხთა აჯანყება კახეთში (ქიზიყში) ახალი ბეგარის გაწერის გამო.

1892 წ. - პირველი მარქსისტულ-ორგანიზაციის, „მესამე დასის“ შექმნა საქართველოში.

1904 წლის აპრილი - სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ჩამოყალიბება, ეწევაში, არჩილ ჯორჯაძის წინამძღოლობით.

1905-1907 წწ. - რევოლუციური მოძრაობა საქართველოში.



1907 წლის 30 აპრილი - ქართველი სოციალ-დემოკრატები
 ანუ მარქსისტები, ანუ „მეხამე დახელები“ - წიწამურის ტყეში
 კვლავ ხაქართველოს ეროვნულ მოძვარს, იღია ჭკვჭკვადეს...

საქართველოს
 დემოკრატიული რევოლუციის
 ცენტრის ბიბლიოთეკა

საქართველოს
 დემოკრატიული რევოლუციის
 ცენტრის ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის
 ცენტრის ბიბლიოთეკა

საქართველოს დემოკრატიული რევოლუციის
 ცენტრის ბიბლიოთეკა

გუბაშ სანოქიძე
ლევან სანოქიძე

უბის ისტორია

2

ქართული ქრონოგრაფია
(მნიშვნელოვან თარიღთა ნუსხა)

გამომცემლობა „სამშობლო“
თბილისი
მ. კოსტავას ქ., 14
1992 წ.

რედაქტორი ციხანა შავგულიძე
მხატვრული რედაქტორი მურმან ჭანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლალი ბიჭაშვილი
კორექტორები ნანა ხხირტლაძე, მარიკა კახაძე

გადაეცა ასაწიებად 10.07.92. ხელმოწერილია დასაბუქდად 3.09.92. ფორმატი
70X108¹/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2,80. სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 2,5. მკვეთა 1249. ტირაჟი 50 000.

სახელმწიფო ეფასი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,
თბილისი, მ. კოსტავას ქ., 14.

960835241
618-0100357

